ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 31 (1366) 25/IX-1/X აგვისტო, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე დაიწყო სოხუმის ახალი ტრაგედია

გამთენიისას, როცა სოხუმი პირველი ჭურვის აფეთქების ყრუ ხმამ შეაზანზარა პირველი საარმიო კორპუსის შტაბში ვიყავი. უკვე სიწყნარეს მიჩვეულებს გაგვიკვირდა, მაგრამ გული იმით დავიმშვიდეთ — ალბათ ტანკის ლულაში ჩარჩენილი ჭურვი ისროლესო, რომლის უკან გამოღება არ შეიძლება. მერე და მერე სროლა გახშირდა. სამწუხაროდ კიდევ ერთხელ მოვტყუვდით. როგორც ჩანს ჩვენს გულუბრყვილობასა და მტრის სივერაგეს საზღვარი არ გააჩნია. იმ ჯოჯოხეთთან შედარებით, რაც ადრე გვინახავს და შემდეგ დღეებში დაატყდა თავს სოხუმს, საარტილერიო კანონადა არ იყო მაინცდამაინც ძლიერი. ერთ საათში კი უშუალოდ ავტომატური იარაღის ხმებმაც მოაღწია ჩვენამდე. აფხაზებმა კიდევ ერთხელ დაარღვიეს ზავის პირობა, ყოველი მხრიდან გვიტევდნენ და ყოფნა-არყოფნის საკითხი მთელი ამ ომის მანძილზე ყველაზე მწვავედ ახლა დამდგარიყო სოხუმელების წინაშე. არანაირი საარტილერიო დანადგარი, არც ერთი ერთეული მძიმე ტექნიკა ქალაქს აღარ გააჩნდა. ყველაფრის დატვირთვას ჩემი თვალით ვუცქერდი, მე ვაცილებდი რუსეთის სადესანტო ბარჟებს და მიხაროდა, რომ ომის დამთავრებას სახიკეთო პირი უჩანდა. გარდა ტექნიკისა ჯარისკაცებიც გამოყვანილი იყვნენ. ადგილზე მხოლოდ სოხუმელები და ისინიც სრულად არა, იმყოფებოდნენ. სწორედ მოსახლეობა აღსდგა პირველივე წუთებიდან მშობლიური ქალაქის დასაცავად. ყველამ ვისაც რა იარაღი ებადა, იმით მიაშურა პოზიციებს, რომლებიც მტერს უკვე გადმოეთელა და ქალაქის გარე უბნებში შემოდიოდა. შუა დღისათვის რუს-აფხაზ-კაზაკ-ჩრდილოკავკასიელთა ბანდებს უკვე აღებული ჰქონდათ სოფლები: აჩადარა, იაშტუხა, მანდარინების ხეივანი და „მაიაკი". მეორე დღისათვის კი სოფლები ცუგუროვკაც და თავისუფლებაც დაეცნენ. მტრის პირველი შეტევების ჩაფუშვის შემდეგ, როცა აფხაზებმა ქალაქის ცენტრში ვერ შემოაღწიეს, რადგან სოხუმის დამცველნი სხეულით აჩერებდნენ მათკენ ნიაღვრად წამოსულ ტყვიას, მტერმა არტილერიის ცეცხლის ინტენსივობა გაზარდა. მაშინ დაიღუპა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ქალების, ბავშვების, მოხუცების მსხვერპლს ისიც აძლიერებდა, რომ შემოგარენი სიმაღლეები უკვე მტერს ჰქონდა დაპყრობილი და ცეცხლის კორექტირებას ახდენდა. მოკლედ მიმდინარეობდა მოსახლეობის მიზანმიმართული განადგურება. მარტო მათი ცოდვა მოეწევა აფხაზ სეპარატისტებს და ბოლოს მოუღებს.

17 რიცხვში, საღამოს, ხმა გავარდა, რომ ქალაქში ჯაბა იოსელიანი შემოვიდა თავისი მეომრების ერთი ჯგუფით და მაშინვე ბრძოლაში ჩაება. თვითონ ამ ფაქტმა ძალიან გაგვამხნევა, რადგან ვიცოდით, რომ სულ ნაბრძოლი ბიჭები იყვნენ და თავიანთ სიტყვას იტყოდნენ. არც შევმცდარვართ, მეორე დღეს სოხუმის გარეუბანი იაშტუხა უკვე განთავისუფლებული იყო. მტერმა დიდი დანაკარგებით დაიხია უკან.

18 რიცხვიდან უკვე მასიურად დაიძრა მთელი საქართველო ჩვენს საშველად. შემოვიდნენ ბარჟები და მძიმე ტექნიკა, აეროპორტი თვითმფრინავების მიღებას ვერ აუდიოდა. შემოტანილი ტექნიკის ახალ პოზიციებზე განლაგებას დრო სჭირდებოდა, რადგან ძველი პოზიციები უკვე გამოთოფილი ჰქონდათ აფხაზებს. მათი მეთვალყურეებიც ხომ დადიოდნენ ჩვენს პოზიციებზე. მაგრამ როგორც კი ჩვენი ქვემეხების კანონადა გაისმა, მივხვდით, რომ ქალაქი შევინარჩუნეთ, მტერსაც აშკარად დაეტყო ნირის შეცვლა. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა ცოცხალი ძალის მხრიდან. ეს ბუნებრივიც არის, შემტევი უფრო მეტ ხალხს კარგავს. ტყვედ ჩავარდნილებს ერთი რამე აერთიანებთ, ჩვენდამი უსაზღვრო სიძულვილი, რომელსაც ვერ ფარავენ. ერთი ჩრდილოეთ კავკასიელი ტყვეობიდან გასვლას და ისევ ჩვენს ჟლეტას ნატრობდა.

აფხაზებმა არც სოხუმში განლაგებული რუსეთის სადესანტო-საიერიშო ბატალიონის ტერიტორია დაინდეს და როგორც შევიტყვეთ, მათაც ჰყოლიათ დაჭრილები. აფხაზების არტილერია ყველაზე მეტად მინისტრთა საბჭოს შენობას და საარმიო თავდაცვის შტაბს ემუქრება, რადგან იქ ეგულებოდა სახელმწიფოს მეთაური და მასზე ნადირობდნენ. ბატონ ედუარდს ჩემი შექება არ სჭირდება, მაგრამ იგი ვაჟკაცია. საბრძოლო პოზიციებზე მისი გამოჩენა, როცა მოწინააღმდეგის სნაიპერები 1,5 კილომეტრზე არიან შოკს იწვევდა ჩვენს მებრძოლებში. როგორც ჩანს გმირობა მისთვის ცხოვრების ნორმად იქცა. ვინც მის გვერდით არის ისინიც მამაცდებიან.

ახლა ყველაზე მთავარია ის საბრძოლო ალტკინება რაც ჩვენს მეომრებს აქვთ არ ჩაქრეს. ლოთი ქობალიას ნაწილების შემოსვლასაც დიდი სიხარულით შეხვდა ხალხი, ოჩამჩირე-სოხუმის გზას ძირითადად ისინი წმენდნენ.

სოხუმის დამცველებს შიშის გრძნობა აღარა გვაქვს. სიკვდილი იმდენად გაგვიშინაურდა, შევეჩვიეთ. ჩვენ გავიმარჯვებთ. ერთიან საქართველოს რისი შემხედვარენიც ამ დღეებში გავხდით ველარაფერი მოერევა.

**ჩვენი კორესპონდენტი — ჯარისკაცი
რომლის გვარსაც არ ვასახელებთ ისეთი მიზეზის გამო,
რისი ახსნაც ახლო მომავალში მოგვიწევს
და რასაც გულგრილად ვერ წაიკითხავს მკითხველი.**

# სოხუმი გადარჩა, გადარჩა ღვთისმშობლის წილხვდომი საქართველო!

1993 წლის 21 სექტემბერი დედათა შორის უპირველესი დედის — ღვთისმშობელი მარიამის დაბადების დღეა. წინა დღით მის წილხვდომილ ქვეყანაში ძლიერი ქარი ქროდა. ქარი არც ღამით დამცხრალა, — მოვარდებოდა, კედლებსა და ფანჯრებს მოასკდებოდა, ხეებსა და ფოთლებს ააშფოთებდა და გაუჩინარდებოდა. წასული არ იყო, რომ კვლავ თავიდან ჩნდებოდა, თავიდან აქროლ-ააფრიალებდა ყველაფერს, ტანწერწეტა ჭადრებს მიგრეხ-მოგრეხდა, სინედლე დაშრეტილ ფოთლებს ააცახცახებდა და კვლავ გაქრებოდა. ქარი თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, რაღაც ამბავი მოჰქონდა, რაღაცას ჩაგვძახოდა.!!

ღვთისმშობლის დაბადების დღის დილაბინდზე წამოწვიმა. წვიმა არც ეთქმოდა, რადგან სულ რამდენიმე წვეთი გადმოვარდა. ამაზე, წამოცრემლაო, დედაჩემი იტყოდა.

ყოფითი ამაოების საზრუნავში გახვეულ ადამიანებს დიდი ხანია აღარც ქარისა და არც წვიმის არაფერი გვესმის და მათ მხოლოდ რიგით სინოპტიკურ მოვლენებად აღვიქვამთ. არადა ქარი აშკარად რაღაცას ჩაგვძახოდა. არადა ზეცამ რატომღაც წამოცრემლა. მერე კი ბუნება ზეციერად დამშვიდდა და სამშობლოს მთების ღაბინდული ქლიავის ფერში დაიბადა დღე, დღე ღვთისმშობლის დაბადებისა.

ამ დღეს ღვთისმშობლის წილხვდომ საქართველოს სოხუმთან უმძიმესი ჟამი უდგა. ეს იყო აფხაზეთის ომის ყველაზე კრიტიკული დღე, როდესაც თითქმის დემილიტარიზებული ქართველთა მხარე გუდაუთის დაჯგუფების სამხედრო ფორმირებათა გააფთრებულ იერიშს განიცდიდა. სოხუმს ოჩამჩირის მხრიდანაც უტევდნენ. იგი ბლოკირებული და დანარჩენ საქართველოს მოწყვეტილი იყო.

სახელმწიფოს მეთაური, როგორც იტყვიან, ღვთის იმედად დარჩენილი ქალაქიდან ფეხს არ იცვლიდა.

სოხუმი გადარჩა! გადარჩა ღვთისმშობლის წილხვდომი საქართველო! და ეს, როგორც უკვე ითქვა, სწორედ ღვთისმშობლის დაბადების დღეს მოხდა.

**ბონდო მელიქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედუარდ შევარდნაძე: ეს არის სულის, ჩემი და ჩემი ხალხის ამოძახილი!

## (მიმართვა ჩემი სამშობლოს ყველა მეგობარს!)

**მოგმართავთ**

თქვენ ალყაში მოქცეული სოხუმიდან და აღარც კი ვიცი, მოაღწევს თუ არა ჩემი სიტყვები თქვენამდე. ბრძოლები ახლა რამდენიმე უბანში მიმდინარეობს იმ შენობიდან, რომელშიც ჩემს მეგობრებთან ერთად ვიმყოფები. რაც უნდა მოხდეს, მაინც არ დავტოვებ ქალაქს, რომელიც კვლავ ხდება მოტყუებისა და ვერაგობის მსხვერპლი. არ მივატოვებ სოხუმელებს, ტანჯვა და უუფლებობა რომ არგუნა ბედმა საკუთარ ქალაქში, რომელიც უხეში, არაადამიანური ძალის წინაშე ბედის ანაბარა არის დატოვებული. ეს ძალა პირდაპირ საცხოვრებელ უბნებს ბომბავს. ორი განვლილი დღის მანძილზე აქ დაიღუპა 40 და მძიმედ დაიჭრა 253 მშვიდობიანი მცხოვრები. სულ კი ამ ომის დროს დახოცილია 2.031 და მძიმედ არის დაჭრილი 5.802 კაცი.

უკვე მერამდენედ ვეკითხები საკუთარ თავს: რა ხდება? რისთვის ხდება ყოველივე?

გუდაუთის ლიდერები ამბობენ, რომ იბრძვიან თავისუფლებისათვის, მშობლიურ მიწაზე ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ ასეთივე თავისუფლება სწყურია და ასეთივე უფლებების მოპოვებას ცდილობს 240 ათასი ქართველი, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე გაუდგამთ ფესვები აქაურ მიწაზე. ეს მიწა საერთო აკვანია ქართველებისათვისაც და აფხაზებისთვისაც.

ჩვენ აქედან არავის გაძევებას არ ვაპირებდით, მაშინ როცა გუდაუთის დაჯგუფების მფარველთა დანაშაულებრივმა ნებამ განდევნა და გააძევა 150 ათასი ქართველი, რომლებიც ახლა ავადმყოფობითა და შიმშილით იხოცებიან რუსეთისა და საქართველოს ქალაქებში. მათთან ერთად ათასობით აფხაზი, რუსი, სომეხი აღმოჩნდა აყრილი საკუთარი კერიდან.

ჩვენ არც არავის დაპყრობა განგვიზრახავს — განა შეიძლება საკუთარ მოქალაქეთა დაპყრობა და ოკუპირება საკუთარი მიწისა, რომელიც ჩვენი უძველესი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის კერაა? ჩვენ მხოლოდ რესპუბლიკის სუვერენიტეტის და მისთვის საციცოცხლო არტერიების დაცვას ვცდილობდით, გვსურდა ბოლო მოღებოდა დივერსიებსა და ტერორს, და ეს გაგვეკეთებინა ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებთან ერთად და მათი თანხმობით. აფხაზთა ბანდების ბელადებმა ყველაფერი იცოდნენ. მათ კარგად უწყოდნენ ყოველივე, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას ბანდიტები, მოძალადეები, ტერორისტები იყენებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ ქმედობათა ჩასადენად, მაგრამ ითმენდნენ ყოველივეს და განზრახული ჰქონდათ ეს კოზირი თავისი ინტერესებისათვის გაეთამაშებინათ.

მათ ეს შეძლეს კიდეც და მოახერხეს რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის იმ ძალების უშუალო მხარდაჭერით და თანამონაწილეობით, რომლებსაც საქართველოს დანაწევრება ჰქონდათ განზრახული. ახლა, როცა ანტიხალხური ძალების მოქმედება თვით საქართველოშიც ერთ ნაკადად შეიკრა, სოჭის ხელშეკრულების, როგორც გუდაუთაში ამბობენ, „სპონტანური" ძირის გამოთხრა, რუსეთის ზოგიერთი უმაღლესი ჩინის სამხედროთა მოქმედება და რუსეთის პარლამენტის პოლიტიკა ჩვენ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ კარგად კოორდინირებულ და სინქრონიზებულ ერთობლივ შემოტევასთან გვაქვს საქმე. მე მინდა მსოფლიომ შეიგნოს: აფხაზეთი იმპერიის სისხლიანი რევანშის საბრძოლო ველია, „მეორე ავგისტოა", იმ ღენთის კასრია, რომლის მეშვეობითაც არამარტო შევარდნაძის საქართველო სურთ ააფეთქონ, არამედ ელცინის რუსეთიც.

ამჟამინდელი ჯოჯოხეთის წინარე ყველა მოვლენა ერთ ლოგიკურ ჯაჭვად ლაგდება. 1992 წლის 3 სექტემბერს ჩვენ მოსკოვში ხელი მოვაწერეთ შემაჯამებელ დოკუმენტს. ჯერ ქაღალდს მელანი არ შეშრობოდა, რომ ეს დოკუმენტი დაქირავებულთა ჩექმებით გათელეს, რომლებმაც უიარაღო გაგრა შტურმით აიღეს. 1993 წლის 14 მაისს დავთქვით: შევაწყვიტა ცეცხლი, მაგრამ სოხუმი კვლავ შეტევის ობიექტი გახდა, როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან და ჰაერიდან, ოჩამჩირის რაიონში კი თავით ფეხამდე შეიარაღებული დესანტი გადმოსხეს და ქალაქი ბლოკადაში მოექცა. და ბოლოს, უკვე მესამედ, ვენდეთ რა რუსეთის ხამშვიდობო მისიას, მის, როგორც გარანტი-



სა და შუამავლის როლს, დავდეთ 1993 წლის 27 ივლისს შეთანხმება და პასუხად კვლავ ღალატი მივიღეთ... კვლავ აქუხდნენ ქვემეხები, რომლებიც, შეთანხმების შესაბამისად უნდა გაეზიდათ, აგუგუნდა საბრძოლო ტექნიკის ძრავები, რომლებიც განკომპლექტებული უნდა ყოფილიყო, შეტევაზე გადმოვიდნენ ბოევიკები, რომლებიც თითქოს განიარაღებული ჰყავდათ, და ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვთქვათ, რომ ხელშეკრულების შესრულების გარანტმა მხარემ ან არ ისურვა, ან ვერ შეძლო ყოფილიყო გარანტი.

უშედეგო აღმოჩნდა ჩვენი მოლაპარაკება რუსეთის თავდაცვის მინისტრთან გენერალ გრაჩოვთან. თავისთავად კონსტრუქციული მოლაპარაკება, იმავე დღეს დეზავუირებული იყო რუსეთის თავდაცვის მინისტრის ზოგიერთი ხელქვეითის განცხადებებითა და რუსეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით.

არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია, ჯერჯერობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციასაც და მისი გენერალური მდივნის არაერთგზის მტკიცე განცხადებებს.

ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთის პრეზიდენტს გულწრფელად სურს ხელი შეუწყოს კონფლიქტის მოწესრიგებას, მაგრამ მას ამაში ხელს უშლის იგივე ძალა, რომელსაც ჩვენი გასრესა სურს.

და მაინც, მე კვლავ მივმართავ ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და ბატონ ბუტროს გალის, მთელ პროგრესულ დემოკრატიულ რუსეთს, მთელ მსოფლიო გაერთიანებას მოწოდებით: ნუ დაუშვებთ საზარელ დანაშაულს, შეაჩერეთ პატარა ქვეყნის დასჯა, იხსენით ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი იმპერიული რეაქციის კოცონზე დაწვისაგან. მსოფლიოს უფლება არა აქვს, შეურიგდეს ერთ-ერთი უძველესი ხალხის, დიდი კულტურის შემოქმედისა და მაღალი სულიერი ტრადიციების ქვეყნის მოსპობას.

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ, თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ საქართველოსათვის, მისთვის უმძიმესი განსაცდელის ჟამს. იქნებ, დადგა დრო, აშკარად თქვათ მის დასაცავად ვაჟკაცური სიტყვა. სიტყვა თქვენი რუსეთის დასაცავადაც, რადგან ისტორიულად ჩვენი ხალხები მუდამ ერთ ბედს იზიარებდნენ.

იმედს ვამყარებ მეგობარი უკრაინელი ხალხის, მისი პრეზიდენტის დახმარებაზე, რომელთანაც ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას ურთიერთდახმარების შესახებ. ასევე იმედს ვამყარებ ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებისა და რესპუბლიკების, ჩვენი ისტორიული მეზობლების — სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის სოლიდარობაზე. ველი დახმარებას ჩვენი დასავლელი მეგობრებისაგან.

მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც კეთილი და ძლიერი ხელი გამოუწოდა და გამოუწვდის საქართველოს, რომელსაც არარსობის უფსკრულისკენ უბიძგებენ.

როცა „ცივი ომის" დამთავრებას ვესწრაფვოდი, ძირს ვუშვებდი გათიშვისა და გაუცხოების კედლებს, მე ვიბრძოდი ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აზრადაც არ მქონია, რომ კაცობრიობის არსებობისათვის მთავარი საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ სწორედ ჩემს სამშობლოს დაუდგებოდა შავბნელი განთიადი.

იქნებ ვინმემ თქვას, რომ ეს სასოწარკვეთის ამოძახილია, არა! თუ ეს მაინც ამოძახილია, ეს არის სულის, ჩემი და ჩემი ხალხის ამოძახილი. და მინდა, რომ ეს ყველამ გაიგონოს. რადგან კაცობრიობა ბედნიერი ვერ იქნება, მშვიდად ვერ ისარგებლებს მშვიდობის სიკეთით, სანამ დაღუპვის საფრთხე ელის თუნდაც ერთ, დაე, ყველაზე მცირერიცხოვან ხალხს.

ამას ვწერ ღამის სამ საათზე. ქალაქს თავს ატყდება ჭურვები, დანგრეულია 1500 საცხოვრებელი სახლი. არ არის წყალი, პური, და იფერფლება იმედი. სროლა გრძელდება, ეს-ეს არის რამდენიმე ჭურვი დაეცა სამშობიარო სახლს, სადაც ძუძუმწოვარა ბავშვები და მათი დედები იყვნენ.

არ გემშვიდობებით, გამომშვიდობება არ მინდა. დაე, ღმერთმა არ მოგაკლოთ მშვიდობა და ბედნიერება.

**სოხუმი,**
**1993 წლის**
**18 სექტემბერი.**

# რისთვის ისჯება საქართველო და საქართველოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე?[1]

**ნოდარ გრიგალაშვილი**

ყოფილი წითელი რესპუბლიკებიდან არცერთ ქვეყანას ისე დაუნდობლად და მიზანმიმართულად არ ებრძვის იმპერიული რუსეთი, როგორც საქართველოს.

საქართველოს თავზე ყველაზე ავისმომასწავებელი, ყველაზე შავი ღრუბლებია შემორეკილი...

რუსეთს საქართველოს ხერხემალში გადამსხვრევა სურს ჩვენი ერთადერთი „დანაშაულის" გამო, რატომ ვთქვით უარი მონობაზე, რატომ გვსურს დამოუკიდებლობა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, რატომ ვილწვით ღვთის მიერ ბოძებული უფლების — თავისუფლების დაბრუნება რეალიზაციისათვის!

საქართველოს რუსეთის იმპერია ებრძვის ჩვენს მიწა-წყალზე შემოხიზნული ოსებისა და აფსუების ხელით.

აფსუებს, (ასე უწოდებს საკუთარ თავს აფხაზეთში, — საქართველოს ძირძველ კუთხეში ჩამოსახლებული ჩრდილოკავკასიური ტომი) რუსეთი ამარაგებს უახლესი ტექნიკით, ისევე, როგორც ოსებს. ამარაგებს ცოცხალი ძალით, ინსტრუქციებით, ფულით.

თუ დღემდე არ დაჩოქილა უზარმაზარი ბოროტი ძალის წინ ეულად დარჩენილი საქართველო, ეს მხოლოდ ღვთისა და ქართველი ახალგაზრდების გაუგონარი თავგანწირვის ხარჯზე ხდება.

არძინბას მოლაშქრენი, მათი სისხლისმიერი ჩრდილოკავკასიელი მოხალისენი და ფულით ნაყიდი რუსეთის სხვა მოქალაქენი, სჩადიან გაუგონარ სიავკაცეს. ცოცხლად წვავენ ჩვენს ქალებსა და ბავშვებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველები არიან.

ქართველ ტყვეებს ათხრევინებენ საკუთარ საფლავებს და სალსალამათებს მარხავენ მათ მიერვე გათხრილ მიწაში.

მძევალთა მოჭრილი თავებით თამაშობენ ფეხბურთს, ადამიანებს აცვამენ მარგილებზე, სარებზე და ეს სისხლიანი მარულა წარმოებს არძინბასა და გუდაუთის ხროვის დასტურით.

არძინბას, აფსუათა ამ მიზანტროპი ლიდერის განცხადებით, აფსუა-აფხაზებს აინტერესებთ ტერიტორია და არა შენობები, არა ადამიანთა ბედი.

ამიტომაც იწვის მთელი აფხაზეთი, იბომბება მშვიდობიანი მოსახლეობა, ნადგურდება ქრისტიანული კულტურის უნიკალური კერები.

ცხადია, ეს არაქრისტიან აფსუებში სინანულს არ იწვევს, რადგან მათ კულტურის ძეგლთა შექმნასა და აგებაში წვლილი არ აქვთ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რამდენად მშობლიური, გენეტიკური განცდა აკავშირებთ იმ მიწასთან, რომელსაც თავისად აცხადებენ და რომლის წასაგლეჯად და რუსეთთან მისაერთებლად იბრძვიან...

არსებობს კი ამ დუნიაზე მეორე ერი, რომელიც საკუთარ ქალაქებსა და სოფლებს პირისაგან მიწისა აღგვის?

ყველაფერ ამის ფონზე სოხუმში, ისე როგორც თბილისში უპრობლემოდ ცხოვრობენ აფხაზები, ქართველთა შორის, აფხაზები რომელთაც შეურაცხმყოფელი ნიაღვ ზეთის ერთი შეწვეც კი არ ჩამოვარდნიათ.

არავინ დაიჯერებს, რომ რამდენიმე ათეულ ათას აფსუას შეუძლია სასოწარკვეთამდე მიიყვანოს 5 მილიონიანი საქართველო, და თუ ეს ხდება, მხოლოდ რუსთა არმიების წყალობით.

მაშინ, როცა რუსის ჯარისკაცები და გენერლები წინ მოუძღვიან ჯარებს სოხუმის უზარმაზარ სასაფლაოდ გადაქცევისათვის, რუსეთის ელჩი საქართველოში ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს პროტესტს უცხადებს იმის გამო, რომ დაუდგენელმა პირებმა ორი რუსის ოფიცერი, უფალმა უწყის, რა მიზეზითა და მიზნით, მძევლად აიყვანეს...

ასეთია ბედის ირონია. მთელმა საქართველომ თავი უნდა იმართლოს ორი ოფიცრის გამო, რუსეთში კი კაცი არ მოიძებნა პასუხისმგებელი მათი დასტურით, მათი ლემარებით, მათი მონაწილეობით მათსავე ხიშტებზე წამოცმული ათასობით ქართველის სიცოცხლისათვის.

ერთადერთი იმედი რუსული აგრესიის განეიტრალებისა ქართველობამ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის პიროვნებაში დაინახა.

ამიტომაც 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებში ამომრჩეველთა უმრავლესობამ (96 პროცენტი) მისცა მას ხმა.

შევარდნაძე თავისი საერთაშორისო ავტორიტეტითა და უზარმაზარი გამოცდილებით ჩანდა გარანტად უბედური საქართველოს ხსნისა.

მაგრამ იმპერიულმა რუსეთმა საქართველოსთან ერთად შევარდნაძის დასჯა გადაწყვიტა, არა მხოლოდ იმისათვის, რომ მათ დღემდე ვერ მოუნელებიათ ავლანეთისა და გერმანიის საკითხი. ევროპის სოციალისტური ქვეყნების გაქცევა მათი ბრჭყალებიდან, ცივი ომის დამთავრება აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის, არამედ იმის გამოც, რომ შევარდნაძემ მათ საქართველოშიც არ გაუმართლათ...

არადა, ერთი შეხედვით, მავანთა აზრითაც შევარდნაძე რუსის სცენარისათვის ზედგამოჭრილი ფიგურა იყო.

ყველაფერი რომ ნათელი გახდეს, ჯერ ამ სცენარის შესახებ უნდა ვისაუბროთ.

* * *

ოშვიათია ისეთი გაორებული მსოფლაღქმის, ისეთი დუალისტური პოლიტიკის მქონე ქვეყანა, როგორიც რუსეთი გახლავთ.

დუალიზმი შეიმჩნევა ყველგან. რუსი კაცის კერძო ყოფიდან დაწყებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით დამთავრებული.

პირდაპირ განზოგადების ღირსია დიდი რუსი კრიტიკოსის ბელინსკის სიტყვები: რუსი გლეხი როცა ტაძარში მარჯვენა ხელით პირჯვარს იწერს, მარცხენათი საჯდომს იფხანსო...

ამას ბესარიონ ბელინსკი ამბობს...

უცხო თვალი კი უფრო ზოგადად ხედავს ნამდვილად ორ, დუალისტურ რუსეთს.

ერთის მხრივ, ჩეხოვისა და გოგოლის, პუშკინისა და ლერმონტოვის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის რუსეთი, რომელიც თვალშეუდგამი სიმაღლისაა და, მეორეს მხრივ, რუსი გლეხი, რომელმაც აგერ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ისწავლა შიშველ ფეხზე ქალამნის ამოხვევა...

ერთის მხრივ, ეკლესია-მონასტრებით მოფენილი ფანატიკურად მორწმუნე რუსი ხალხი და, მეორეს მხრივ, კაცობრიობის ჭირად მოვლენილი ევროპისა და საკუთარი ხალხის ჟანდარმი რუსეთი.

ამ გაორებამ, ამ დუალიზმმა იქ დღესაც იჩინა თავი და ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლზე დადგა.

დუალიზმია რუსული საგარეო პოლიტიკის წარმმართველიც.

სხვა რუსეთისა და „შორეული საზღვარგარეთის" ურთიერთობა.

სულ სხვაა რუსეთისა და „ახლო საზღვარგარეთის" (ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების) ურთიერთობა.

„შორეულ საზღვარგარეთში" თეთრხელთათმანიანი, ინტელიგენტური კოზირევი დადის და რეალურ პოლიტიკას წარმართავს.

„ახლო საზღვარგარეთში" კი რეალური პოლიტიკა ხორციელდება არა დიპლომატიური უწყებების, არამედ გენერლების ენაზე.

რაც გენერლებმა „შორეულ საზღვარგარეთში" დასთმეს რეიგანის, შევარდნაძისა და გორბაჩოვის დაწოლით, იმას „ახლო საზღვარგარეთში" აღარ თმობენ.

მათზე დაწოლით კი აღარც „შორეული საზღვარგარეთის" ლიდერებს სურთ აიტკივონ აუტკივარი თავი და რუსეთის ხელმძღვანელობაც დიდსულოვნად მიდის მათთან დათმობებზე ახლო მეზობლებთან მიმართების დროს...

იჭყლიტება ყველასაგან მიტოვებული, თავისუფლების გზაზე დამდგარი ყოფილი მონა რესპუბლიკები, რომელთა კისერზე უღლის მოგდებას თანმიმდევრულად ხელახლა ახორციელებენ ეს „თვითნება" გენერლები.

ვისაც კი ზედმეტი „გათავხედება" და თავისუფლების მეტისმეტი წყურვილი შეამჩნია რუსეთმა, ან ეთნოკონფლიქტების ალში გახვია, ან სამხედრო გადატრიალებები „ჩაუწყო", რათა ახალი ხელმძღვანელობა ჭკუაზე მოსულიყო და დაჩოქილი ხლებოდა მოსკოვს.

ასე მოხდა ტაჯიკეთში, ასე მოხდა საქართველოში, ასე მოხდა აზერბაიჯანში. სახელმწიფო გადატრიალებაში ყველგან რუსის ხელი ერია.

მართალია ალიევი თავის დროზე მოიძულა მოსკოვმა, უმაღლესი პოსტი დაატოვებინა და გამოუშვა, მაგრამ ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, სახალხო ფრონტის ლიდერს, დისიდენტ პრეზიდენტს ელჩიბეის ისევ თავის კაცი, ძველი პარტიული მუშაკი არჩია და აზერბაიჯანის ხელმძღვანელად კვლავ ოდესღაც დაწუნებული ალიევი იქცა. მანაც არ დააყოვნა და, მეორე დღესვე, დაჩოქილი ეახლა რუსეთის ხელმძღვანელობას ესენგეში შესვლის განაცხადით...

ამავე სცენარში, მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებით თეორიულად მშვენივრად ჯდებოდა ედუარდ შევარდნაძეც. (მიუხედავად იმისა, რომ დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემდეგ, გადატრიალების ავტორთაგან მისი ჩამოყვანა პირველ კაცად არ იყო ნავარაუდევი, რაც დასტურდება იმ პერიპეტიებით, რაც ხდებოდა 1992 წლის მარტში და შემდეგაც, სახელმწიფო საბჭოს მართველობის პერიოდში, როცა შევარდნაძეს ოთხეულში ერთი ხმა ჰქონდა), რაც იმას ადასტურებს, რომ ეს გადატრიალება არა შევარდნაძის, არამედ სხვებისთვის იყო ნავარაუდევი.

მაგრამ შევარდნაძის ავტორიტეტი უკვე გადამტრიალებელთათვისაც იქცა საჭირო ფენომენად, თუმცა არა რუსებისათვის, რადგან შევარდნაძე არ აღმოჩნდა ის კაცი, რომელიც სხვის დაწერილ სცენარში შეასრულებდა როლს.

მოსკოვი მიხვდა, რომ საქართველოში დისიდენტ გამსახურდიაზე მეტ პრობლემებს „კომუნისტი" შევარდნაძე უქმნიდა. ერთი „პატარა" მიზეზის, თავისი მასშტაბურობის გამო.

თუ გამსახურდიას შეეძლო ამერიკელი კორესპონდენტებისათვის უკეთეს შემთხვევაში ეთქვა: გადაეცით თქვენს პრეზიდენტს გვიხსნას რუსეთისაგან...

შევარდნაძეს შეუძლია პირადად მიმართოს ამერიკის პრეზიდენტს — იხსენით რუსეთი!..

რაც პირველ ყოვლისა ჩვენს ხსნას გულისხმობს. ერთი სიტყვით, საქართველოში დაბრუნდა არა რუსის მარიონეტი, არამედ საქართველოს პატრონი, რომელსაც თავისი ქვეყნის თავისუფლება სურს. და რუსეთის გარდა სხვა ქვეყნებისკენაც გაიხედა... ამ „მკრეხელური" სურვილის გამო, მოსკოვმა მოინდომა შევარდნაძის სასტიკად დასჯა.

ჭკუა, ხერხი, ორმხრივი კეთილი სურვილები არარაობა აღმოჩნდა იმპერიულ, ძალისმიერ, ჩექმის პოლიტიკასთან.

რუსეთმა აფსუების შემწეობით აგვიტეხა აფხაზეთში სასტიკი ომი.

სამჯერ მიგვაყენეს კედელთან.

სამჯერ მოგვაწერინეს თითქმის კაპიტულანტურ შეთანხმებაზე ხელი და ეს ჩვენთვის წამგებიანი შეთანხმებებიც სამივეჯერ დაარღვიეს, რაც ათასობით ქართველის სიცოცხლის ფასად. პასუხისმგებლობა სამივე ხელმოწერის დროს შევარდნაძემ საკუთარ თავზე აიღო, მას იმ მსოფლიოს იმედი ჰქონდა, რომელიც კეთილგონიერი, ჰუმანური და ცივილიზებულია და რომელიც გაეროს ეგიდით ჩვენს საქმეში ჩაერია.

მაგრამ...

მსოფლიომ მარტო დატოვა გველეშაპთან მორკინალი პატარა საქართველო... (ცსოდენ საჭირო მხარდაჭერა, თავისთავად სამადლობელი საქმე, ძალზე მცირეა ზარბაზნის ლულის პირისპირ მდგომთათვის)...

მსოფლიომ მარტო დატოვა უზარმაზარი პასუხისმგებლობის ტვირთწამოკიდებული საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და მან, რუსეთისგან მზაკვრულად განწირულმა არჩია ერთადერთი გზა, შიშველი ხელებით ჩადგა ალყაშემორტყმულ სოხუმ-ქალაქში, რათა მამულის დამცველ პირტიტველა ბიჭებთან ერთად შეაკვდეს მტერს და ზნეობრივად მაინც გაიმარჯვოს ამდენი ვერაგობით სევგამწარებულმა.

დასავლეთის დიდი და პატიოსანი სახელმწიფოები კი ალბათ კვლავ დარჩებით ჩვენს თავს დატეხილ ტრაგედიაზე ობიექტურ დამკვირვებელთა როლში...

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონებო, ჩვენ მაშინაც გვიხაროდა თქვენი სიკეთე, როცა კომუნისტებისაგან ორად გახლეჩილი გერმანია ერთურთს იკრავდა გულში.

როცა კომუნისტებისაგან სისხლდაცლილი ავლანეთიდან რუსის ჯარი გამოდიოდა.

როცა ამერიკის ბედნიერ ბავშვებს წითელი მოსკოვის შიში უნელდებოდათ.

გვიხაროდა იმადაც, რომ ამ საკაცობრიო საქმეში ჩვენი თანამემამულის, ჩვენი სისხლ-ხორცის წვლილი იდო.

ახლა ის პროკომუნისტური, გარეთ მხდალი და შინ ძლიერი ძალები თავის დაუხარჯავ ბოროტ ენერგიას ჩვენზე (და „ძველი ვალების" გამოც, ჩვენს მეთაურზე) ანთხევენ და ვშთებით მხოლოდ ჩვენივე თავისა და იმ დიდი დამკვირვებლის იმედად, რომელიც შეძრწუნებული გადმოჰყურებს ცისქვეშეთს, რომელიც აუცილებლად განიკითხავს უდანაშაულო ქალებისა თუ თოთო ბავშვების მკვლელებს.

**20 სექტემბერი, 1[illegible]**

1. სტატია დაწერილია ამერიკელი კოლეგის შეკვეთით, დასავლეთის პრესაში გამოსაქვეყნებლად.

# ვინ არიან და საიდან მოვიდნენ აფსუა აფხაზები?

დღეს აფხაზეთში რაც ხდება, ჩვენი ისტორიული უბედურების, შემწყნარებლობის, დირდიმანდობისა და, ალბათ, დოყლაპიობის შედეგიცაა.

ათეული წლების განმავლობაში იმპერიული ძალები, შინ თუ გარეთ, ამზადებდნენ ამ ტრაგედიას. ჯერ იყო და რამდენიმე ათას კაციან ხალხს ავტონომიური რესპუბლიკა შეუქმნეს, შემდეგ კი მეთოდურად დაიწყეს საქართველოს ისტორიის გაუგონარი ფალსიფიკაცია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ თავდაყირა დააყენა, გააყალბა ყველაფერი; გამოიგონეს ათასგვარი მითები, არარსებული ისტორია შეუქმნეს პატარა ხალხს და გონება დაუბნელეს თაობებს, გააბრიყვეს და ბრმა იარაღად აქციეს ისინი.

ბევრი დრო და მელანი დასჭირდება აფხაზეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი და განუყოფელი ნაწილის ისტორიის დაწერას.

ერთი კი ცხადია, ეს რომ მოხდეს, ამისათვის საჭიროა ობიექტური პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. ვინ არიან თანამედროვე აფხაზები?

2. რა კავშირი არსებობს თანამედროვე და ისტორიულ აფხაზებს შორის?

3. ვინ იყვნენ ისტორიული აფხაზები და რას ნიშნავს ისტორიული თვალთახედვით „აფხაზეთი" და „აფხაზი".

4. ვინ იყვნენ აფშილები და აბაზგები (იგივე აფხაზები) და რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი.

5. არსებობს თუ არა საბუთები იმის [illegible] დამტკიცებლად, რომ ისტორიული [illegible] აზები თანამედროვე აფსუების წინა[illegible].

6. ვინ შექმნა „აფხაზთა სამეფო" [illegible] თუ იგი არაქართველებმა შექმნეს, მაშინ: — რატომ გაიხადეს სახელმწიფო ენა[illegible] ქართული; რატომ დააწესეს წირვა-ლოცვა ქართულად; რატომ გახადეს თავიანთი სამეფოს დედაქალაქად ერთ-ერთი მთავარი ქალაქი ქუთაისი...

7. თუ აფსუებს ჩავთვლით დასავლეთ საქართველოს აბორიგენებად ანუ ათასეული წლების განმავლობაში აქ მცხოვრებლებად, მაშინ — ა) რატომ არ მოიპოვება მათს ენაზე ზღვის აღმნიშვნელი სიტყვა ან რატომ ვერ ისესხეს სხვა ხალხებიდან აქამდე; ბ) რატომაა, რომ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული მე-17 საუკუნეში შედგენილ რუკაზე თანამედროვე ოჩამჩირის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონების ტერიტორიაზე მხოლოდ ორად ორი აფსუური — ტოპონიმია; გ) როგორ მიიღეს მონაწილეობა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა ტომებმა ჩრდილო კავკასიური ეპოსის ნართების შექმნაში, რომელიც მათ თავისად მიაჩნიათ.

დ) რატომ არაა აფსუათა ენაში ნასესხობანი ძველი ხალხების ენებიდან...

8. დავუჯეროთ თუ არა პლინიუსის ცნობას იმის შესახებ, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში აფსუას ტომის საცხოვრისი არის ჩრდილო კავკასიაში, კასპიის ზღვის ჩრდილო დასავლეთ ზოლში.

9. ისტორიული მნიშვნელობით აქვს თუ არა აზრი გამოთქმებს — „აფხაზურ-ადიღეური ენები", „აფხაზურ-ადიღეური ხალხები", „აფხაზურ-საქართველოს ურთიერთობა" და ა. შ.

რატომ უარყოფენ აფსუა ისტორიკოსები მე-17 საუკუნეში საქართველოს ისტორიულ მხარეში, აფხაზეთში, თავიანთი წინაპრების ადიღეური მოდგმის ტომების ჩამოსახლებას, როცა ამაზე უამრავი ცნობა მოეპოვებათ იტალიელ მისიონერებს თუ სხვა ავტორებს.

11. საერთოდ ისტორიულად არსებობდა თუ არა ისეთი ფენომენი, როგორიცაა — „აფხაზური კულტურა" და თუ არსებობდა რა თავისებურებანი ახასიათებდა მას.

საყოველთაო აღიარებით ამა თუ იმ კულტურის ძირითადი კომპონენტებია დამწერლობა, ლიტერატურა, ხუროთ[illegible]რება, მეცნიერება და ხელოვნება [illegible] შემთხვევაში საეკლესიო მუსიკა [illegible]რწერა).

როგორც ცნობილია პირველი აფხაზური დამწერლობა შექმნა რუსმა მეცნიერმა უსლარმა 1862 წელს, ხოლო აფხაზური მწერლობის ფუძემდებელი დ. გულია დაიბადა 1874 წელს და გარდაიცვალა 1960 წელს. სხვანაირ ფაქტებს ისტორია არ იცნობს.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული უამრავი ისტორიული ხუროთმოძღვრული ძეგლი საყოველთაო აღიარებით ქართული არქიტექტურის ნიმუშებია და მათში რაიმე განსაკუთრებული, განსხვავებული „აფხაზური სტილი" ჯერ-ჯერობით არავის აღმოუჩენია.

რამდენადაც ცნობილია, შუა საუკუნეებში მეცნიერება ძირითადად არსებობდა ფილოსოფიის სახით, ისტორია „აფხაზ ფილოსოფოსებს" და „აფხაზურ ფილოსოფიას" არ იცნობს.

რაც შეეხება ხელოვნებას, კერძოდ კი საეკლესიო მუსიკასა და ფერწერას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რაღაც „აფხაზური" თუ „აფსუური" საეკლესიო მუსიკა და კედლის მხატვრობა ისტორიულად არ დასტურდება, აფხაზეთის ტერიტორიაზე რაც არის, ყველაფერი ქართულია.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ გამოდის, რომ მე-19 საუკუნის ბოლომდე ისტორიულ ასპექტში კულტურის რაიმე კომპონენტი, რომელსაც განსაკუთრებული სახელი „აფხაზური" ან „აფსუური" დაერქმეოდა, ბუნებაში არ არსებობს; აქედან გამომდინარე, ლაპარაკი ისტორიულად არსებულ რაღაც „აფხაზურ კულტურაზე" სრულიად გაუგებარი და უაზროა, უფრო მეტიც, სასაცი[illegible]; ამდენად, ყველა ის შრომა, რაც ამ თემაზეა შექმნილი, ქაღალდისა და მელნის უნაყოფო ხარჯვად გამოიყურება.

ახლა მივუბრუნდეთ პირველ კითხვას — ვინ არიან თანამედროვე აფხაზები.

ყველაფრიდან ჩანს, რომ თანამედროვე აფხაზობა არის აფსუათა ენაზე მოლაპარაკე ხალხი, რომელიც წარმოიშვა საქართველოს ისტორიული კუთხის აფხაზეთის ტერიტორიაზე მე-17 საუკუნეში ჩამოსახლებული ადიღეური მოდგმის აფსუებისა და ქართველების შერევით და რომლის ფორმირების პროცესი ახლაც მიმდინარეობს.

ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე აფხაზთა გვარსახელების ორ მესამედამდე ქართველურია — ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური, ხოლო ერთი მესამედი კი საკუთრივ აფსუური.

პასუხი რომ გაეცეს კითხვას რა კავშირი არსებობს თანამედროვე და ისტორიულ აფხაზებს შორის, საჭიროა გაირკვეს, თუ ვინ იყვნენ ისტორიული აფხაზები.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ცნობები არსებობს დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომების შესახებ ისტორიკოსთა ნაწილი ტენდენციურად აშუქებდა და აშუქებს მათს ეთნიკურ კუთვნილებასა და კავშირს თანამედროვე აფხაზებთან, საკუთრივ აფსუებთან.

ისტორიკოსთა ერთ ნაწილს, სამწუხაროდ, ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე, თანამედროვე აფხაზების, ანუ აფსუების წინაპრებად მიაჩნია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, სხვა ტომებთან ერთად მოხსენიებული აფშილები და აბაზგები.

ზოგიერთი აფსუა „მეცნიერი" აფხაზეთში ქართული ტომებისათვის ადგილსაც კი არ სტოვებს, თუმცა არავითარი მინიშნება არ ჩანს იმის სასარგებლოდ, რომ აფშილები და აბაზგები არაქართველური ტომები იყვნენ, პირიქით.

აფშილები და აბაზგები აქ სხვა ქართველურ ტომებთან მოიხსენებიან I—II საუკუნეებიდან.

ტერმინები „აფხაზი" და „აფხაზეთი", როგორც ჩანს, ისტორიული გაგებით მიმოქცევაში შემოდის მე-7 მე-8 საუკუნეებში, თუმცა აკად. თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ ბერძნული „აბაზგი" ქართული „აფხაზიდან" უნდა მომდინარეობდეს ე.ი. ქართულიდანაა შესული ბერძნულში.

აფშილებისა და აბაზგების აფსუათა წინაპრებად მიჩნევას, ჩვენი აზრით, ბევრი რამ ელობება წინ.

ჩვენთვის გაუგებარია, თუ აფშილები არაქართველები იყვნენ, რატომ დაარქვეს თავიანთ მთავარ მთავარ ქალაქს სვანური სახელი „ცხუმი", აკი სწერს მემატიანე — „ქალაქი აფშილეთისა ცხუმიაო".

როგორც ცნობილია, მესამე საუკუნიდან აქტიურობას იწყებენ აბაზგები (აფხაზები); ჯერ იერთებენ აფშილების სამთავროს და უფრო მოგვიანებით აერთიანებენ მთელ დასავლეთ საქართველოს. ქმნიან „აფხაზთა სამეფოს" და მიიწევენ აღმოსავლეთ საქართველოსაკენ.

ამ პროცესში აუხსნელი რჩება ასეთი მომენტი — თუ აფხაზები (აბაზგები) არაქართველური ტომებია, გაერთიანებულ სამეფოში რატომ ამკვიდრებენ სახელმწიფო ენად ქართულსა და არა თავიანთ მშობლიურ აფსუურულს, რატომ ამკვიდრებენ წირვა-ლოცვას ეკლესიებში ქართულად; რატომ გადმოაქვთ დედაქალაქი ქართულ ქალაქ ქუთაისში...

საერთოდ, რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისტორიული აფხაზები, მატიანეები არაფერს მიგვანიშნებენ; თუმცა ჩანს ქართველ მემატიანეებს არ ეეჭვებათ, რომ აფხაზები ქართველებია და, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ ქართველურ ენაზე ლაპარაკობენ.

ამას უნდა მოწმობდეს „ისტორიანისა და აზმანის" ავტორის ასეთი შენიშვნა — „პირველად შემკრებელთა ზედსა და სუესა ზედა ლაშასა, რომელ განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა" აქ მემატიანეს ერხელ მიეცა საშუალება აშკარად მიენიშნებინა თუკი აფხაზები მართლაც არაქართველები იყვნენ, ეთქვა, „აფხაზთა ენითაო". და არ თქვა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აფხაზები და აფსარნი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ პირველნი ქართველები არიან; სხვანაირად მემატიანე არ ამბობს „აფხაზთა ენითაო".

სხვათა შორის დიდ ივანე ჯავახიშვილს თურმე ეს საეჭვოდაც არ მიაჩნდა. აი, რას წერს იგი: „როგორც ვხედავთ კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია — ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებსა და სვანებს" („ს.ი. „ტ.I გვ.427, 1960).

ამის შემდეგ ფრიად უცნაურია ის უამრავი „მეცნიერული შრომა", სადაც ცდილობენ აფშილებისა და აფხაზების გააფსუებას.

ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურა რომ უშედეგოდ დაღვრილ ოფლს ჰგავს, ამას ერთი ფაქტიც მოწმობს.

1990 წელს გაზ. „ახალგაზრდა ივერიელში" (№47, 14.07) გამოქვეყნდა ქალბატონ ნათელა ცოფხაძის ფრიად საინტერესო წერილი „შავ ზღვას კოლხეთის ზღვა ერქვა", სადაც მოყვანილია ცნობები ცნობილი რომაელი მეცნიერისა და მოღვაწის პლინიუსის შრომიდან, რომლის მიხედვითაც ჩვ. წ. ა. I-საუკუნეში „აბსუას" ტომი ცხოვრობს ჩრდილო კავკასიაში კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო ზოლში.

ჩვენი აზრით, ეს ცნობა საბოლოოდ ხდის ფარდას აფსუა აფხაზთა წარმომავლობის საიდუმლოს და ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ აფშილები და აფხაზები (აბაზგები) ჩვეულებრივი ქართველური ტომებია და მათ ადიღეური მოდგმის ხალხთან არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო.

კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ აფშილები და აბაზგები ქართული სამყაროს კუთვნილებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, საგაზეთო წერილი ამის საშუალებას არ იძლევა.

მიუხედავად ამისა, აფსუა ავტორები და პროაფხაზურ ორიენტაციის ქართველი მეცნიერები მაინც ჯიუტად ცდი-

(გაგრძელება მე-6 გვ)

ჩვენს გაზეთს არა ერთხელ გაუმახვილებია ყურადღება იმ საკითხზე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. თითქმის ორი თვის წინ საქართველოს მაშინდელმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სპეციალური დადგენილებაც გამოსცა პრესაში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სამხედრო საიდუმლოებების დაცვის შესახებ, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი არ იღლება კოლეგა ჟურნალისტებისადმი შეხსენებით, რომ მეტი სიფრთხილით ნი დახმარება არ სჭირდება, რომ ამ სამსახურის ანალიტიკური ცენტრი ერთი შეხედვით სრულიად არასამხედრო ინფორმაციიდანაც კი იღებს მისთვის საჭირო ცნობებს და მერე რაც საჭიროა, ყველაფერი გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელი რუსი გენერლების სამუშაო მაგიდაზე ლაგდება. ჩვენ კი ამ სამსახურებს ვუადვილებთ. თუ ბატალიონები სად მიდიან და საიდან მოდიან, ეს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების კომპეტენციაში შედის თუ საჭირო გახდა თვითონ ისინი იზრუნებენ მოსახლეობის

## „ენაზე მომდგარ სიტყვასა"... ანუ ნუ მიაწვდით მტერს მისთვის საჭირო ინფორმაციებს

მოექცნენ საომარი თეატრიდან გადმოცემულ ინფორმაციებს, მაგრამ ......

აფხაზების, უფრო სწორად იქნება რუსების მიერ 27 ივლისის ხელშეკრულების კიდევ ერთხელ ვერაგულად დარღვევამ ყველა წინა ასეთი შემთხვევისაგან განსხვავებით მეტი რისხვა გამოიწვია საქართველოში. ახლა უფრო იგრძნობა საბრძოლო აღტკინება და თითქოს ერის საშიშროების მიმართ მობილიზების უნარიც ახლა უფრო გამოვლინდება. ყოველ შემთხვევაში ის, რომ ამ ომში დამარცხების უფლება არა გვაქვს, უფრო მეტმა ქართველმა გააცნობიერა და საბრძოლველად განაწყო. მაგრამ ერთია სურვილი, მეორეა ამ სურვილის განხორციელებისათვის საჭირო საშუალებები და ცოდნა. ჩვენ საშუალებებით შეზღუდული ერი, ქვეყანა ვართ. გვებრძვის იმპერია, რომლის სამხედრო პოტენციალიც შიშის ზარს სცემდა ყველა მის ახლო თუ შორეულ მეზობელს. მას ამ ბრძოლაში დამატებითი კოზირების მიცემა აღარ სჭირდება. ჩვენ კი ამას ვაკეთებთ და ვაკეთებთ ყოველდღე, ყოველ დაბეჭდილ თუ გადაცემულ ინფორმაციაში. ისევ უნდა გავიმეოროთ ის აზრი, რომ რუსეთის ჯარების ჯგუფის სადაზვერვო განყოფილებას (გრუ) ჩვენი

ინფორმირებისათვის. არც იმის ხაზგასმით და ყოველდღე ლაპარაკი შეეძლება, თუ რამდენი ტონა რა გაიგზავნა აფხაზეთში. გაგზავნე რამე? ღმერთია ამის დამნახავი და როცა გავიმარჯვებთ არც ხალხი დაივიწყებს ამ ღვაწლს. თავის გამოჩენის მიზნით მტრისათვის ცნობების მიწოდება კი ამ გამარჯვებას გვაშორებს და რაც ყველაზე უფრო საზარელია, სისხლით გვაზღვევინებს.

მიუხედავად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიდევ ერთი ასეთი განცხადება-მიმართვისა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ, ეს მავნე სენი მაინც ვერ მოვიცილეთ. აქ ცენზურა და კონტროლი უძლურია. ჩვენ არ ვცხოვრობთ ისეთ სახელმწიფოში, ვინმემ ყოველი ასეთი შეცდომა მყისიერად დააფიქსიროს, განსჯის საგნად აქციოს და დასკვნებიც გააკეთოს.

ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი თავის ცენზორები. ვწეროთ და მოვუთხროთ ხალხს კონკრეტულ ჯარისკაცზე, ამ ომის გმირთა გმირზე, ბატალიონებზე, ესკადრილიებზე და ესკადრებზე, მერე, როცა ისინი ფსოუს საზღვარზე გავლენ და ეს რომ იქნება, ამაში ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს. აი ამ დაეჭვებასაც ვებრძოლოთ.

მერაბ მაისურაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინაპართა გაკვეთილები, ანუ ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინეთ!

## დათუნა გოცირიძე

### ძველებური ამბავი

აკაკი წერეთელი

რაჭველი აზნაური დათუნა გოცირიძე მის დროში განთქმული ვაჟკაცი იყო მთელ იმერეთში. ხმალს უქებდნენ და პირველობაც აგვირგვინებდა. სანამ საყვარელი დისწული, მისივე გაზრდილი, ივანე კვიტაშვილი არ წამოეზარდა. სახელოვანი მოწაფე გვერდში ამოუდგა სახელგანთქმულ მოძღვარს... რაღა სჯობია ამ ნეტარებას?! მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ჩამავალი მზე ამომავალ მთვარეს განზე უყურებსო“. თავმოყვარეობის სიხარბემ შური შეაპარა ორივეს და მათი გმირული ზენა-მოყვრობა საქვენაო მტერ-მოყვრობად შეიცვალა. მაგრამ მაინც მათი ცალ-ყბა მეგობრობა სხვების ორფეხ მოყვრობაზე უკეთესი იყო. სანამ ყმაწვილურმა აშვებულმა თავხედობამ ხმალი არ შეურცხვინა დამჯდარ, დინჯ მოხუცებულობას.

დადიანმა მეფეს საარაკო ნებიერი მიუძღვნა. მეჯოგეები ძლივს იმაგრებდნენ გაგარეულებულ ოთხფეხს. მეფე გეგუთის სასახლეში ბრძანდებოდა აივანზე გადამჯდარი და თვალს ადევნებდა მოზვრის ურჩობას.

— ნეტავი თუ ვინმემ შეიძლოს, რომ ერთი მოქნევით თავი გააგდებინოსო, — ბრძანა მეფემ.

— მაგას დათუნას მეტი ვერავინ მიჰბედავსო, — მოახსენა სარდალ-წერეთელმა.

— ვერც მისი დისწულიო? — იკითხეს კარისკაცებმა.

— ვერც ისაო, — გადასწყვიტეს ერთხმად და დაიბარეს დათუნა.

ამ ამბავმა გული მოუკლა ახალგაზრდა კვიტაშვილს, მაგრამ რაღას იტყოდა?..

მეორე დილას გეგუთის მინდორზე სასახლის წინ შემოხაზეს წრე. შემოავლეს გალავანი და აუშვეს ნებიერი. პირუტყვმა რომ თავისუფლება იგრძნო, შეხტა და შეინავარდა, იწყო ბღუილი და ტორებრქებით ბდღვირი ააყენა.

— აბა, დათუნა, გვიჩვენე შენი ვაჟკაცობაო! — ბრძანა მეფემ.

შევიდა წრეში გოცირიძე. შემოხედა ნებიერმა, აიღო თავი. შემოაბდღვიალა თვალები. შემოჰბღუილა და მიაშურა. დათუნა გაუხტა განზე, მოუმარჯვა ხმალი და სწყვიტა. წაიფორთხილა გაბრაზებულმა პირუტყვმა. ჯერ წაიჩოქა წინა მუხლებზე და მერე კი გადაგორდა. თავი ისევ კისერზე ება, მაგრამ კისრის ძვლები კი დასჩენჩხოდა.

გაუკვირდა ვაჟკაცს... დახედა ხმალს და ნახა, რომ პირი დაბეგვილი ჰქონდა: „ვინ გაბედა ჩემი ხმლის შერცხვენაო?“ — ჩაიდუდღუნა და გადისვა ულვაშებზე ხელი: „ეს ულვაში ნულა მსხმია, თუ ეს შევარჩინო ამის მქნელსო!.. უნდა გამისწორდეს!.. ან ის და ან მეო!“.

თურმე იმ წინა ღამეს დისწული მიპარვოდა მძინარე ბიძას, ამოეღო ხმალი ქარქაშით და დაებლაგვა პირი.

ვაჟკაცის სიტყვა გაუტეხელია!..

ვერც მეფემ, ვერც ქუთათელ-გაენათელმა, ვერც მოძღვარმა და ვერც თანამესისხლ-ხორცეებმა ველარ შეარიგეს მტერ-მოყვარე ბიძა-დისწული. ახალგაზრდა კვიტაშვილი იძულებული შეიქმნა დაეგდო რაჭის საზღვარი და გადმოსულიყო იმერეთში. საყვარელი დისწულისა და სასიქადულო გაზრდილის დაკარგვა ველარ აიტანა დათუნამ... ორგვარის გრძნობის ჭიდილი აღარ აძლევდა მოსვენებას... არ ემეტებოდა სასიკვდილოდ მტერი, მაგრამ იმავე დროს აღარ ეხერხებოდა აღარც ვაჟკაცური დაჩემების გატეხა და ულვაშების შერცხვენა, დანაღვლიანდა და გატყდა.

ბოლოს გადასწყვიტა: საამქვეყნოდ რაღა გამოსადეგივარო და განიზრახა: „ნიკოლოზ წმიდაში“ ბერად შესვლა, მაგრამ რადგანაც სასახლის ნებართვა და გაენათელის თანხმობა საჭირო იყო, მიაშურა მეფეს ვარციხისკენ.

სწორედ ამ ხანებში დაღისტნიდან გადმოსული, განთქმული ალიფონა ბელადი მისი წუნკლებით აჯამეთის უტებ ტყეში ბუდობდა და იმ გზით სიარული, თუ არა ჯარად, ტორო კაცისთვის საფრთხილო იყო. ვარციხისკენ მიმავალი მგზავრები საზოგადოდ სიფრთხილეს იჭერდნენ, შორის გზით უვლიდნენ, მაგრამ დათუნამ შიში არ იცოდა და პირდაპირ გადასჭრა აჯამეთი.

შუა გზა გავლილი ჰქონდა, რომ გზის პირად, პატარა მინდორში, ვიღაც მგზავრი დაინახა მიწოლილი ჩეროში: ფარღალალა თავი უნაგირზე მიედვა და ეძინა. მიუახლოვდა დათუნა, დახედა და შეკრთა... ივანე კვიტაშვილი გამოდგა, ხმალზე მოივლო ხელი, მაგრამ, თითქოს შანთმა დასთუთქაო, უცბად უშვა ხელი და სთქვა გუნებაში: „ეს ხომ ქურდობა იქნება! გავაღვიძებ და ისე შევებრძვიო“. გადასწყვიტა, მაგრამ წინ მაინც ბიჯი აღარ გადასდგა: „არც ეს ივარგებსო!“ — კიდევ გაიფიქრა. — „ძალით გამოღვიძებული მის გუნებაზე ხომ არ იქნება. არა!.. ჯერ გამოიძინოს, ადგეს თავის თავად, იარაღი შემოირტყას და მაშინ გაუსწორდებით ერთმანეთსო, და მანამდის კი მეც მოვიცდი... სად წამივაო?! მიაბა ცხენი ბუჩქზე, მიდგა ტყის პირად, აქვე მუხის ძირში მიჯდა და ამოეფარა ხეს.

ბევრ ხანს არ გ ლია, რომ აქვე მახლობლად ყლურტული მოესმა. მიიხედა და დაინახა ჩასაფრებული ლეკები. ერთ მათგანს ამოეღო ნიშანში მძინარე მგზავრი. ფეხვივით მივარდა დათუნა და ატაცა ხელი ჩახმახ შეყენებულ თოფის პირს; დაიჭექა შაშხანამ, მარცხენა ხელი ძირს დაუშვა დათუნამ. გახვრეტილ ხელის გულში სისხლი მოთქრიალებდა. მარჯვენა ხელით იძრო ხმალი და დასჭყივლა: „დამრჩით, წუნკლებოო!“

თოფის გასროლით დამფრთხალი მძინარი წამოვარდა ზეზე, იგდო ხელში იარაღი და მიაშურა იქითკენ, საიდგანაც ქართული შემოესმა. გასცა ხმა და მიიჭრა. ერთს შემოხვეოდნენ გარს ლეკები ჯარად და ის ერთი ყველას იგერიებდა. მომხრე რომ დაინახეს ლეკებმა, დაფრთხნენ და გადაცვივდნენ!.. დარჩნენ მარტოდ პირისპირ ორი ქართველი, ერთმანეთის მოსისხლე მტრები... ბიძა და დისწული, დათუნა გოცირიძე და ივანე კვიტაშვილი! დიდხანს ხმა ველარ ამოიღეს, ბოლოს, როგორც იქნა, შეეკითხა ახალგაზრდა:

— შენა ხარ, ბიძაჩემო? აქ რას მოუყვანიხარ?..

— შენს სიგლახეს, — უპასუხა მოხუცმა, — ბედს ვაჟკაცობა მოუცია შენთვის, მაგრამ ღმერთს კი ჭკუა წაურთმევია... უადგილო ადგილას რომ ძილს მინდობიხარ, ხომ ლორივით გადაგაგორებდნენ, რომ არ წამოგსწრებოდი და მტერს წინ არ გადავღობებოდიო.

ახალგაზრდა უსიტყვოდ დაეშვა მუხლის თავებზე და მოეხვია მოხუცს. მოხუცმა წამოაყენა, ჩაიკრა გულში და უთხრა: **„შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე. სანამ გარეშე-მტერი არ მოგვიგერიებია, შინაური მტრობა რჯულის უარისყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვინდოსო!“.**

**მისცეს მხარი მხარს, დაიძახეს: „მდევარიო!“ და ერთად გამოუდგნენ მტერს...**

**ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც ასე დასთმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადო საქმისათვის?**

**1902 წ.**

---

## ჯავშანტრანსპორტიორი და ყვავილები

ცხინვალ-თამარაშენის საზღვარზე გადახიდული რუსული ჯავშანტრანსპორტიორის წინ ბეტონის ფილებით შემოკავებული ადგილი გაჩნდა, ერთ-ერთ ფილაზე ჭიქაში ჩაწყობილი ჩამჭკნარი ყვავილებით. იქვე მეორე ჭიქაცაა, წყლით სანახევროდ შევსებული. რა მოხდა იქ?

ამ რამდენიმე დღის წინ ორიოდ შეზარხოშებულმა ოსმა (ღვთის წყალობით საქართველოს მხრიდან უხვად მარაგდებიან ღვინო-არაყით) ძიძგილაობა დაუწყო რუსის სალდათს. ქართველებს ახლო მიკარების უფლებაც არ აქვთ ამ ადგილთან, ხოლო რუსთან შეკამათებაზე ხომ ლა არაკიც ზედმეტია. ძიძგილაობა ჩხუბში გადაიზარდა. ჯარისკაცმა ავტომატის მოკლე ჯერი გაუშვა ოსების ფეხებთან. რიკოშეტით ასხლეტილი ტყვია მოხვდა იქვე გვერდით ჩაცუცქულ მეორე ჯარისკაცს და ...ინტერნაციონალური ვალის მოხდის მიზნით დაღუ ულთა რიგებს კიდევ ერთი რუსი შეემატა.

ცხინვალში დიდად არავის შეუცხადებია ეს ამბავი, ხოლო იქ, სადაც მას ჩაასვენებდნენ, ყველა დარწმუნებული იქნება, რომ იგი, რაკილა საქართველოში დაიღუ ა, ქართველების ხელით იქნება მკვდარი. მშვენიერი მასალაა რო აგანდი სათვის.

მერაბ მაისურაძე

# ბერიას დღიურები

## ჩანაწერი მეექვსე

**მოსკოვი, 1952 წელი, აგვისტო**

დილით რაფიკი ახალი არასასიამოვნო ცნობებით მოვიდა. პატრონმა ახალი დოსიე მოითხოვა. სიაში მოცემული 17 კაციდან ექვსი — მოსკოვის წამყვანი ექიმი იყო, დანარჩენი — ინტელიგენცია, რომელიც პარტიულ ხელმძღვანელობასთან იყო ახლოს. მათგან ხუთი — ებრაელი.

პატრონმა ყველა ეს საქმე იგნატიევს მიანდო, (ს. დ. იგნატიევი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, რომელსაც სტალინმა „ექიმების საქმის" შეთითხნა დაავალა. გარდაიცვალა 60-იან წლებში.), ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქმეების



[illegible] მემეძლო.

სხვა დროს მე ყველაფერზე პატრონთან მოვილაპარაკებდი, მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა ჩამძახოდა, რომ ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი. მისი მოქმედება სულ უფრო გამოუცნობი ხდებოდა, კუნცევოში გუშინდელმა ღამემ კი სულ აღმაშფოთა.

მან ისევ დაიწყო თავისი მომწამვლელი ხუმრობები, უკანასკნელი კვირის სამიზნე ამჟამად მოლოტოვი გახდა, რომელსაც იგი თავის ეშმაკური ღიმილით ანადგურებდა. ერთხელ პატრონი ისე აღელდა, რომ ანთებული ყალიონიდან ფერფლი მთლიანად დააბერტყა თავზე ვოროშილოვს. შემდეგ უკვე გამთენიისას მე მომდგა — ადრე ასეთი რამ არ ხდებოდა. იგი ისრაელის შესახებ მელაპარაკებოდა „სიონიზმის საზიზღარი სანაშენო, რომელიც ამერიკელებმა მოაწყვეს პირდაპირ აზიის ზღურბლზე" — შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა:

— რასაკვირველია, ვიღაც არც ისე ფხიზლადაა, განსაკუთრებით ისინი, ვინც ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის მსგავს ორგანიზაციაზე მუშაობს!

სწორედ ეს ვიგრძენი, როცა სხვებმა თავიანთთვის ჩაიცინეს, რომ მე კუთხეში მიმიმწყვდიეს, მაგრამ მე ასე იოლად ვერავინ შემაშინებს. თვალებში შევხედე ბებერ მელას და ქართულად ვუთხარი (რასაც სხვები, ვისაც ეს ენა არ ესმის, გააფთრებამდე მიჰყავს):

— პატრონო, — ვუთხარი მე, — კიდევ კარგი, რომ მოვასწარით მეგრელთა საქმის დასრულება, თორემ კიდევ ერთხელ გაიზრდებოდა მათი რიცხვი! სულ რამდენიმე წამმა გაიარა და ვფიქრობდი, რომ იგი აგერ-აგერ აფეთქდებოდა. მაგრამ მან ხმამაღლა გაიცინა და მიუბრუნდა იქ მყოფთ — თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა.

— ჯალათი! როგორც ყოველთვის, ყველანაირი საშიშროებისათვის შესახვედრად მზადაა. დაიხსომეთ ჩემი სიტყვები — იგი თქვენზე, ყველაზე, ერთად აღებულზე ჭკვიანია! და მეგობრულად ამიწია ყური.

საოცრად შემეზიზღა ყველა, იმ მაგიდასთან იმხანად მჯდომი ადამიანები. მათ იციან, რომ მე ერთადერთი ვარ, რომელსაც შეუძლია შეეპასუხოს სტალინს და მას ეს მაინცდამაინც ეზიზღებოდა. მაგრამ მე მაინც შეშფოთებული ვარ. მისი მოჭარბებული სიფრთხილე და სიფხიზლე სიონიზმის გამო მის მოხუცებულობაზე შემაშფოთებლად მოქმედებს. ცხადია, ზამთარი მძიმე, ცივი და ხანგრძლივი გვექნება.

თარგმანა
**შერმადინ ჯიხვაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

# ჰოი, დედანო...

თბილისში ქალთა სამდღიანი აქცია ჩატარდა. „მშვიდობის მარში" — ასე უწოდეს ამ აქციას მონაწილეებმა. იგი 19 სექტემბერს დაიწყო. ამიერკავკასიის სამხედრო შტაბთან თბილისელმა ქალებმა მოაწყეს მიტინგი იმ მოთხოვნით, რომ რუსეთმა დაიკავოს მშვიდობის დამამყარებლის პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტში. ამ დღეს აქციის მონაწილეთა დელეგაცია შეხვდა რუსეთის ელჩს საქართველოში — ზემსკის. მათ აუხსნეს ელჩს, რომ ამ აქციას არ გააჩნია არავითარი პოლიტიკური მოთხოვნები და მიმართულია მხოლოდმხოლოდ სისხლისღვრის შესაწყვეტად აფხაზეთში. დელეგაციამ ელჩს წარუდგინა ერთადერთი მოთხოვნა — 24 საათის განმავლობაში საქმის კურსში ჩაეყენებინა რუსეთის მთავრობა და პირველ რიგში, პირადად პრეზიდენტი ელცინი, და გადაეცა მათთვის ქართველ ქალთა მიმართვა. ელჩს მოთხოვეს, მეორე დღეს გადაეცა ქალთა აქციის მონაწილეთათვის რუსეთის მთავრობის პასუხი. „თუ რუსეთი ყურად არ იღებს ჩვენს თხოვნას და არ ეცდება, უახლოეს ხანში დამყარდეს მშვიდობა, ჩვენ, საქართველოს ქალები, წავალთ იქ, სადაც იხოცებიან ჩვენი შვილები, ძმები, მეუღლეები; წავალთ ფეხით და დავდგებით მოსისხლე მხარეებს შორის. დავდგებით შუაში და მაშინ, დაე გვესროლონ!" — ასეთი იყო ქალთა კატეგორიული განცხადება. საბოლოოდ ასეც გადაწყდა — მანდილოსნები გამგზავრებულიყვნენ სოხუმს.

20 სექტემბერს აქცია გაგრძელდა. ქალები შეიკრიბნენ ჯერ ჭადრაკის სასახლეში, შემდეგ კი გადაინაცვლეს ფილარმონიაში. ამ დღეს აქციას არნახულად ბევრი ხალხი შეუერთდა. დარბაზი დამსწრეებს ვერ იტევდა. აქციის წამყვანებმა დამსწრეებს გააცნეს ზემსკის პასუხი, რომ მან საქმის კურსში ჩააყენა რუსეთის მთავრობა, პარლამენტის სპიკერი და პრეზიდენტი. ფილარმონიიდან ქალთა დემონსტრაცია დაიძრა ამერიკის საელჩოსაკენ, სადაც ერთი ჯგუფი შეხვდა ამერიკის ელჩს. იგი დაჰპირდა აქციის მონაწილეთ, რომ ამერიკის მთავრობას მიაწვდიდა ამ ინფორმაციას.

აქციის მესამე დღეს, 21 სექტემბერს სპორტის სასახლეში 2 000-მდე ქალმა მოიყარა თავი. შეკრება მიჰყავდა რეჟისორ ქეთი დოლიძეს. სხვებთან ერთად, ამ დღეს სიტყვით გამოვიდა ქალბატონი ნინო რამიშვილი. ჩემი ასაკი რომ არა, მეც აუცილებლად გავემგზავრებოდიო სოხუმს, — განაცხადა ქალბატონმა ნინომ.

გადაწყდა, რომ 22-ში დილით შეკრებილიყვნენ რესპუბლიკის მოედანზე და აქედან ფეხით წასულიყვნენ რკინიგზის სადგურში, სადაც მათთვის აფხაზეთში გასამგზავრებლად გამოყოფილი იქნებოდა მატარებელი. ამავე დღეს დაიგეგმა მარშრუტი. დაიწყო ფულის შეგროვებაც. უნდა ითქვას, რომ ფულის დადება დღეს ბევრს მართლა არ შეუძლია, ისეთი ქალი კი ალბათ ძნელად მოიძებნება, ერთი ოქროს ბეჭედი მაინც არ გაჩნდეს. ვინმეს ეს საქმეც რომ ეთავა, დიდი შეღავათი იქნებოდა ჩვენი [illegible] აქ, ალბათ, აღარავის გაგვახსენდა; თუმცა, ჯერ ხომ გვიანი არ არის...

ფილარმონიაში შეკრებაზე წაიკითხეს ედუარდ შევარდნაძის ძალზე თბილი მიმართვა ქართველი ქალებისადმი. აქციას შეუერთდნენ მანდილოსნები რუსთავიდან, გარდაბნიდან, კახეთიდან.

22-ში, დილის 7 საათისათვის, წვიმისა და სიცივის მიუხედავად, რესპუბლიკის მოედანზე 300-ზე მეტმა ქალმა მოიყარა თავი. ისინი სადგურისაკენ დაიძრნენ. აქ მათ სხვებიც ელოდნენ. აქ მყოფთაგან ბევრი წამსვლელი იყო, ნაწილი კი — გამცილებელი. გასამგზავრებლად გამოყოფილი 17 ვაგონიდან 10 სავსე იყო. ქალების გასაცილებლად მოვიდნენ ქართველი ბიზნესმენები, რომელთაც პროდუქტი გაატანეს აქციის მონაწილეთ. თბილისელებთან ერთად გაემგზავრნენ რაიონებიდან ჩამოსულებიც. განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ კახეთის რაიონებიდან.

ძალიან საგულისხმოა ის, რომ ქალთა ამ აქციაში მონაწილეობდნენ რუსები, სომხები, ქურთები, ბერძნები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, ოსები. მათგან ბევრი სოხუმს გაემგზავრა. ეს აქცია არც თავისი ფორმით და არც შინაარსით არ ჰგავს სხვა რომელიმეს (მითუმეტეს — მანდილოსანთა აქციებს), რაც აქამდე ახსოვს თბილისის საზოგადოებას. მთავარია ის, რომ მას არ გააჩნია პოლიტიკური მოთხოვნა და მიზნად ისახავს ერთადერთს — მშვიდობის დამყარებას, აფსუათა მიერ სისხლის ღვრის შეწყვეტას საქართველოს მიწაზე; თუნდაც ქალთა სისხლისა და სიცოცხლის ფასად...

**ხათუნა ცხადაძე**




# ვინ არიან და საიდან მოვიდნენ აფსუა აფხაზები?

დასასრული

ლობენ ამტკიცონ აფშილებისა და აფხაზების აფსუების წინაპრობა, თუმცა ბევრი რამ უშლის ხელს აფსუათა აბორიგენობას ისტორიულ აფხაზეთში.

საყურადღებოა ერთი კურიოზული ფაქტიც, როგორც ცნობილია აფსუებს თავიანთ საკუთრებადაც მიაჩნიათ ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ეპოსი ნართებზე. აუხსნელია როგორ უნდა მიეღოთ მონაწილეობა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებს ჩრდილო კავკასიური ეპოსის შექმნაში.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია რატომ და როგორ უარყოფენ აფსუა მკვლევარები საქართველოს ისტორიულ მხარეში აფხაზეთში მე-17 საუკუნეში მათი წინაპრების ჩამოსახლებას, როცა ამის შესახებ უამრავი ცნობა მოეპოვებათ იტალიელ მისიონერებს თუ სხვა ავტორებს.

მაგ., ჯოვანი ჯულიანო და ლუკა 1630 წელს წერს: „აფხაზებს არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. მათ არა აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი და აქვთ მცირე მასალა თავიანთი ტანისამოსის დასამზადებლად... ხორბალი მათთან არ მოდის, მარილს აქ არ ხმარობენ".

არქანჯელო ლამბერტი: „აფხაზები ქალაქებში და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს" და ა. შ.

ეს ორი ამონაწერი საკმარისია იმის დასტურად თუ რა შორს დგანან მე-17 საუკუნის აფხაზები ანუ მთებიდან ახლად ჩამოსული აფსუები „აფხაზთა სამეფოს" შემქმნელი ნამდვილი აფხაზებისაგან — ქართველი აფხაზებისაგან.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ლამბერტის ცნობით მე-17 საუკუნის აფხაზები თევზს არ ჭამენ და კიბოებიც ეზიზღებათ, სრულიად ნათელი იქნება თუ როგორი ათასწლეულების აბორიგენები არიან ისინი შავი ზღვისპირეთისა.

ახლა აკად. ნ. ბერძენიშვილს მოვუსმინოთ: ისინი „საკუთარ ისტორიას გაურბიან... აქვთ თუ არა ისტორიული გადმოცემები? თუ ესენი აფხაზების გენეტური მემკვიდრეები არიან მათ ისტორიულ ფოლკლორში თამარი და სხვა ასეთები უნდა ჩანდნენ... ნართების ეპოსი მათს მთიელობაზე მიუთითებს" (საქ. ისტ. საკითხები გვ. 618, 1990).

აფსუათა მთიელობასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საინტერესოა ასეთი ფაქტიც, აღნიშნავენ რომ სიტყვა „აფსა" აფსუათა ენაზე ნიშნავს სოჭს. (განსხვავებით იმ აზრისაგან, რომ თითქოს „აფსნი" ნიშნავდეს სულთა მხარეს) სოჭი კი მაღალმთის მერქნიანი ხე-მცენარეა. სახელწოდებანი „აფსუა" და „აფსნი" ხომ არაა დაკავშირებული ხე-მცენარესთან, — სოჭთან ანუ იმ ადგილის სახელწოდებასთან, საიდანაც მათი მიგრაცია ხდებოდა და რომელი ადგილიც ქართული ანალოგის მიხედვით ნიშნავს სოჭიანს, სოჭნარს (შეადარე ქართული მუხრანი, მუხიანი, მუხურა, სამუხე და მისთანანი).

აკად. ნ. ბერძენიშვილის ზემოთმოყვანილი აზრის შემდეგ პირდაპირ საოცარია ახალ-ახალი ზღაპრების თხზვა და წერა, რომლებშიც, ხალისით ითვისებენ ქართველთა კულტურას და ისტორიას, მეთქვენ გეტყვით ხელს შეუშლით ვინმე, თუ?

ასეთი არასწორი, გაუკუღმართებული ისტორიის წყალობით დაამკვიდრეს მიმოქცევაში გამოთქმები — „აფხაზურ-ადიღეური ენები", „აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობა", „აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობა" და სხვა მრავალი, რომელნიც მრუდე სარკეში ასახავენ მოვლენებს და ისტორიული თვალთახედვით გაუმართლებელია.

რაკი თანამედროვე აფხაზი სხვაა და ისტორიული სხვა, რაკი გარკვეულ ეტაპზე აფხაზეთი მთელ საქართველოსაც კი ნიშნავდა, ხოლო აფხაზი ზოგადად ქართველს, განა თავისთავად ცხადი არაა, რომ ისტორიულ ასპექტში ზემოხსენებული გამოთქმები აზრს კარგავენ, რადგან, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ „საქართველო-საქართველოს" ან „ქართველთა და ქართველთა" ურთიერთობაზე.

მკითხველის პოზიციიდან გამომდინარე, არსებული უამრავი ისტორიული წყაროდან და ფაქტიდან ალბათ ასეთი დასკვნები უნდა გავაკეთოთ: მეოცე საუკუნემდე ქართულისაგან განსხვავებული ფენომენის, — „აფხაზური კულტურის", როგორც ასეთის არსებობა ისტორიულად არ დასტურდება;

თანამედროვე და ისტორიული აფხაზები ორი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფია და ალბათ უმჯობესია [illegible] ნება ხმარებაში შემოვიღოთ ასეთი ტერმინები — აფსუა აფხაზი და ქართველი აფხაზი;

აფხაზეთის მთელი ისტორია, როგორც ასეთი, მე-20 საუკუნემდე ქართველების, მათ შორის ქართველ აფხაზთა კუთვნილებაა, რასაც ადასტურებს ქართული კულტურის ერთიანი ხაზი;

აფსუები აფხაზეთში ძირითადად ჩამოდიან მე-16, მე-17 საუკუნეებში და თანდათანობით კულტურულად ქართველდებიან თავიანთი ენის შენარჩუნებით და ამასთან ხდებოდა ქართველების ასიმილაცია რუსეთის იმპერიული ძალების მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით.

აფსუების პირვანდელი ნამდვილი სამშობლო ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიაა, კასპიისპირეთია.

აფშილები და აბაზგები (აფხაზები) ქართველური ტომებია;

„აფხაზთა სამეფო" ქართულია და მისი შემქმნელი აფხაზები ქართველური ტომებია.

ეს არის ჭეშმარიტი ისტორია და მისი გაყალბების უფლება არავის აქვს, — არც აფსუა ისტორიკოსებს, არც რუსის სწავლულებს და მით უფრო, არც ქართველ ინტერნაციონალისტო მეცნიერთ.

**ბიძინა თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროებით, ბატონო რომან!



საქართველოში, ბოლო პერიოდში მომხდარმა კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარებულმა მოვლენებმა, ლამის ყურადღების გარეშე დატოვეს ერთი „უმნიშვნელო" ფაქტი. ჩამოყალიბდა ახალი (თუმცა რა ახალი, როცა თითქმის მთელი შემადგენლობით ძველია) მინისტრთა კაბინეტი, იმ ადამიანის გამოკლებით, რომელზეც შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკურ აზროვნებას. რომან გოცირიძე — პირველი რეფორმატორი კაბინეტს მიღმა აღმოჩნდა. კაცი, რომელიც სწორედ დღეს, ამ არეულ ქვეყანაში ყველაზე მეტად სჭირდება სახელმწიფო საქმეს, თავისი ცოდნისა და ახალგაზრდული ენერგიის პიკში, როგორც ამბობენ, „დამსახურებულ პენსიაზე" — ელჩად გაწესებას უპირებენ.

ძნელია გაარკვიო კაცმა, მისი გადადგომა საკუთარი სურვილით მოხდა, „ახალი" რეტროგრადული კაბინეტის შემადგენლობაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო, თუ სხვა ძალებმა მოაცილეს იგი ეკონომიკურ საქმეს. იქნებ ზოგიერთებს მონოლითური გუნდის შეკოწიწება უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ვიდრე არაორდინალურად მოაზროვნე პიროვნების გვერდით ყოფნა. მთავრობა რომ ერთსულოვანი იქნება ამაში ეჭვი მართლაც არავის ეპარება, მაგრამ რა შედეგს გამოიღებს ასეთი შეხმატკბილება, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ მის პერსონალურ შემადგენლობას დავაკვირდებით, არც ყოფილი ვიცე-პრემიერის ბოლო საპარლამენტო გამოსვლებში იყო ნათელი, თავისი ნებით გადადგა თუ სხვა მიზეზით. ერთი რამ კი ცხადია: პატიოსანი, ნიჭიერი, პრინციპული, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის იდეების პირველი პროპაგანდისტის და დამამკვიდრებელის, რეფორმის წამომწყების გარეშე, ეს საქმე სერიოზულად დაზარალდება.

ქვეყანაში, სადაც არ არის კანონის უზენაესობა, სადაც ცხოვრებას, მოვლენებს მართავენ ცალკეული პიროვნებები და არა სახელმწიფოებრივი მექანიზმები, რომან გოცირიძე იყო ის ბერკეტი, რომელსაც გარკვეულ წონასწორობაში მოჰყავდა პროცესები

გოცირიძეს აქვს მკაცრად კანონიზირებული ეკონომიკური შეხედულებები და მწყობრი ეკონომიკური სისტემა, ამიტომაც მოიხვეჭა ავტორიტეტი მსოფლიო ბანკში, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, სხვა ეკონომიკურ ორგანიზაციებში, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონდათ მასთან, როგორც მთავრობის პოსტის მქონესთან საქართველოს მხრიდან ამ ორგანიზაციებში. ისინი მას თვლიან, თუ შეიძლება კარგი გაგებით ითქვას, „მათ კაცად", რომელიც ჯიუტად ატარებდა, მიუხედავად არახელსაყრელი საშინაო და საგარეო ფონისა, დასავლურ ეკონომიკურ კურსს და ერთგულია იმ იდეებისა, რომლებსაც ეს უდიდესი საერთაშორისო სტრუქტურები ემყარებიან. ამას უნდა მოჰყოლოდა სულ მალე დიდძალი ფულადი დახმარება, რაც გამომდინარეა იმ წინაპირობებიდან, რაც შექმნა ვიცე-პრემიერმა. მან შეძლო ჩვენი რეფორმებისადმი ნდობის დასადგურება. მისი წასვლა კი დიდი შემაფერხებელი ფაქტორია ამ საქმისათვის და ასევე ორგანიზაციებში მყოფი სხვა დონორებიდან ფინანსური ინექციების მიღებისათვის, რისი პირველი სიმპტომებიც უკვე გამოიკვეთა, ამ რამდენიმე დღის წინათ, ჩვენში შექმნილი სიტუაციის შესასწავლად მოვლინებული მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მიერ.

ამ თვის ბოლოს რ. გოცირიძეს მოელოდნენ ვაშინგტონში სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიურ კრებაზე, სადაც დაგეგმილი იყო უამრავი შეხვედრა სხვადასხვა ფინანსურ და პოლიტიკურ წრეებთან. ისინი მოელოდნენ ადამიანს, რომელთანაც ურთიერთობაში, მათ ჰქონდათ პიროვნული სიმპათია, როგორც ორიგინალური და სხარტად მოაზროვნე ეკონომისტისადმი, რომელსაც უგებდნენ უსიტყვოდ, რადგან ისინი ლაპარაკობდნენ „ერთ ენაზე".

საქართველოში მიმდინარე ბრძოლა ხელისუფლებისათვის, საომარი, კრიმინალური, თუ მრავალი ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეები, ქვეყნის ტერიტორიული და სამეურნეო დეზინტეგრაცია, საგარეო კავშირების მოშლა, საკადრო არაკომპეტენტურობა და სხვა მოვლენები არის მოსახლეობის გაღატაკებისა და რეფორმების დაბრკოლების ძირითადი მიზეზები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, პრიმიტიული, პოლიტიკურად ნებსით თუ უნებლიეთ მიზანმიმართული პროპაგანდა საბაზრო ეკონომიკისა და მისი უპირველესი ქომაგის საწინააღმდეგოდ იქნა მიმართული. ალბათ, მალე თვალნათლივ გამოჩნდება, თუ რა დაუმსახურებელი, არაობიექტური იყო მისადმი წაყენებული პრეტენზიები. თუნდაც, კუპონები გავიხსენოთ. ქართული ვალუტის შექმნისაკენ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა, დამოუკიდებელი ფინანსური და საკრედიტო სისტემის შექმნის ისტორიულმა პროცესმა, თითქმის ერთი ადამიანის მხრებზე გადაიარა და ამ დიდ ეროვნულ საქმეში არ ჰქონია მას მეტნაკლებად სერიოზული მხარდაჭერა, ხელისუფლების მხრიდან. სამწუხაროდ, მისი გაფრთხილებები რჩებოდა ხმად მღაღადებლისა და შედეგიც სახეზეა.

ქვეყანაში რეფორმას ჰყავდა გოცირიძე...

რუსეთში გაიდარს ჰყავდა მხარდამჭერები და დიდი მფარველი — იგი არის [illegible] და დემოკრატიული ძალების ფრთებქვეშ. გოცირიძე კი იყო მარტოდმარტო, რეფორმების შტაბის ახალგაზრდა მეცნიერების და მცირერიცხოვანი თანამოაზრეების ამარა: მას უწევდა მუდმივი ბრძოლა, რაზეც იხარჯებოდა უზარმაზარი დრო და ენერგია, რაც აკლდებოდა საქმეს. დღეს რეფორმების შტაბიც დაიშალა, მისი წევრებიც უკვე სხვადასხვა მიმართულებით მიმოიფანტნენ, ზოგი უცხოეთში, ზოგიც შიგნით, აქა-იქ აპარატშიც შემორჩნენ, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი რეფორმისტულ ამინდს ვერ შექმნიან.

გოცირიძის რეფორმები სხვებმა არ უნდა გააგრძელონ, რასაც მასზე უკეთ ვერ გააკეთებენ, ანდა შეცვალონ მისი კურსი, რაც თავიდანვე განწირულია.

საქართველოში წავიდა გოცირიძე. რუსეთში დაბრუნდა გაიდარი.

პიროვნულად, ახალგაზრდა რეფორმატორს არაფერი დაუკარგავს, პირიქით, ასცდება ობივატელის დაუმსახურებელი, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული ძალების მიერ ხელოვნურად შექმნილი გულისწყრომა. მის ასაკში, როგორც წესი იწყებენ დიდ საქმეებს, მან კი, უკვე ბევრი მოასწრო, ბევრსაც გაუძლო, მაგრამ მისი ცხოვრების მთავარი გასაკეთებელი მაინც წინაა. ასე რომ, შეხვედრამდე, ბატონო რომან!

გიორგი ტალახაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი

# რუსეთი: ორი პრეზიდენტი, ორი პარლამენტი, ორი მომავალი

ასეთი გამწვავებული დაპირისპირება რუსეთში დიდხანს მწიფდებოდა. უკვე რამდენიმე წელია პრეზიდენტი და პარლამენტი თავიანთ ხელში რაც შეიძლება მეტი ძალაუფლების კონცენტრირებას ცდილობენ. ეს კი ბუნებრივად სულ უფრო მძაფრ კონფრონტაციას იწვევს. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესს თავისი აღმავალი და დაღმავალი პერიოდები ჰქონდა, მაგრამ იგი არასოდეს შეწყვეტილა და დაკვირვებული თვალისათვის ყოველთვის შესამჩნევი იყო. ამ ბრძოლამ რამდენიმეჯერ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ კვლავ ფარდობითი წონასწორობა მყარდებოდა. ასე იყო რამოდენიმე თვის წინ, როდესაც ელცინს პარლამენტის მხრიდან აშკარად დაემუქრა იმპიჩმენტის საფრთხე, მაგრამ მხარეებმა გარკვეული კომპრომისის მიღწევა შეძლეს. შემდეგ მოეწყო რეფერენდუმი, რუსეთის მოსახლეობამ პრეზიდენტის მხარე დაიჭირა, კვლავ მოსალოდნელი იყო კარდინალური ცვლილებები, მაგრამ სიტუაცია კვლავ მეტნაკლებად უმტკივნეულოდ განიმუხტა. ერთი რამ კი იყო პრეზიდენტისა და პარლამენტის ბრძოლისათვის დამახასიათებელი — ელცინი დროდადრო კარგავდა თავის უმთავრეს მომხრეებს, ხალხს, რომელნიც თავად მოიყვანა ხელისუფლებაში და რომელნიც „ელცინის გუნდს" შეადგენდნენ — ვიცე-პრემიერი რუცკოი, გენერალური პროკურორი სტეპანკოვი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზორკინი. ისინი თანდათან ყოფილ „პატრონს" დაუპირისპირდნენ და ხასბულატოვისა და მისი მომხრეების პოზიციაზე დადგნენ. ამ დაპირისპირებაში ელცინმა დაკარგა პრემიერ-მინისტრი გაიდარიც, მაგრამ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი იძულებული გახადეს თავად შეელეოდა მთავრობის ერთგულ თავმჯდომარეს.

21 სექტემბრის საღამოს კი ელცინის განცხადებამ შეძრა მსოფლიო. მან განაცხადა თავისი რადიკალური ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მიმართული იყო ქვეყანაში სტაბილურობისა და სამოქალაქო მშვიდობის დასამყარებლად — მან ბრძანებით დაითხოვა რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობა თავის უზენაეს საბჭოსთან ერთად, დანიშნა არჩევნები ახალ პარლამენტში — ფედერაციის საბჭოში და მის არჩევამდე 11-12 დეკემბერს, გამოაცხადა ეტაპობრივი კონსტიტუციური ცვლილებების პერიოდი. ეს ყველაფერი, ფაქტობრივად, ორთვიან საპრეზიდენტო მმართველობას ნიშნავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ არცერთი ეს ღონისძიება რუსეთის კონსტიტუციით გათვალისწინებული არაა — პარლამენტის დათხოვნა მხოლოდ თავად პარლამენტს შეუძლია, მასვე ეხება ახალი ვადამდელი არჩევნების დანიშვნაც და ძირითად კანონში ცვლილებების შეტანაც. ასე და ამგვარად, ელცინის მ ქმედება რუსეთის დღევანდელი კანონმდებლობით სახელმწიფო გადატრიალებად ფასდება.

ეს მაშინვე განაცხადა იმავ საღამოს შეკრებილმა უზენაესმა საბჭომ, ელცინი ანტიკონსტიტუციური ქმედებისთვის პრეზიდენტობიდან გადააყენა, მისი მოვალეობის შესრულება კონსტიტუციის მიხედვით ვიცე-პრეზიდენტ რუცკოის დაავალა, ელცინის მხარდამჭერისთვის მას თავდაცვის მინისტრი გრაჩოვიც მიაყოლა, დანიშნა ახალი მინისტრები ხასბულატოვის მომხრეთა ბანაკიდან და მიიღო კანონი „ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერთა შესახებ", რომელთათვისაც დაადგინა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა ქონების კონფისკაციით.

ასე განვითარდა ძირითადი მოვლენები. ნორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს პოზიციიდან ჭეშმარიტება უზენაესი საბჭოსა და მისი სპიკერის — ხასბულატოვის მხარესაა, მაგრამ ვიმეორებთ, მხოლოდ ნორმალური და სამართლებრივი ქვეყნის პირობებში. რუსეთი კი არც ერთია და არც მეორე. იგი დღეს გზების გასაყართან დგას და მთელი მსოფლიო, მათ შორის საქართველოც, მეტად დაინტერესებულია მისი ცივილიზებული გზით განვითარებით.

რომელია რუსეთისათვის უფრო ცივილიზებული გზა? — ის კურსი, რომელსაც ატარებს ელცინი და მისი მთავრობა, კურსი, რომელიც უპირისპირდება უზენაესი საბჭოსა და მისი ლიდერის, რუსეთის ხსნის ფრონტისა და სხვა პარტიების მსოფლმხედველობას. და ეს იმისდამიუხედავად, რომ, როგორც ვთქვით, კანონიერების დამცველად დღეს ხასბულატოვი გვევლინება.

ელცინის კოზირი კი ხალხის ნებაა, აპრილის რეფერენდუმზე გაცხადებული, რომელმაც უპირატესობა მის პოლიტიკას მიანიჭა. სწორედ ეს გარემოება გამოიყენა რუსეთის პრეზიდენტმა და საბოლოოდ გაემიჯნა უზენაეს საბჭოს. [illegible] რონული გადაწყვეტილებით მან პრაქტიკულად წინასწარ დააკანონა მომავალი კონსტიტუციის ის ვარიანტი, რომლის შექმნასაც იგი ხელმძღვანელობდა (ალტერნატიულ ვარიანტს ამუშავებდა უზენაესი საბჭოც) და ოპოზიციას მოქმედების თითქმის ყველა გზა მოუჭრა — რუცკოის ყველა ბრძანებულება აპრიორი უკანონოდ გამოაცხადა და თან ბრალდებები ანტიპარლამენტარიზმშიც ოსტატურად აიცილა თავიდან — გარდა იმისა, რომ დანიშნა ახალი არჩევნები, მან ადგილობრივი — რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონო და საქალაქო სახალხო საბჭოების მუშაობა არაფრით შეზღუდა.

ყველაფერ ამას რუსეთის მოსახლეობა ჩვეულებრივზე მშვიდად შეხვდა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობა ჩვეულებრივზე მეტად აფორიაქდა. ასეც იყო მოსალოდნელი — ჩვენ დღეს უმძიმეს ომს ვაწარმოებთ და უმთავრესად სწორედ რუსეთი გვიპირისპირდება. უფრო სწორად, როგორც გვიყვარს ხოლმე თავის დანუგეშება — „რეაქციული რუსეთი", რომელთანაც ელცინს თითქოს არაფერი აქვს საერთო. ეს მეორე რუსეთი ჩვენ შეგნებაში ელცინის წინააღმდეგიცაა (ეს მართლაც ასეა — თ.გ.) და ამიტომ ჩვენი აზრით ელცინი მთლიანად პროქართულ პოზიციაზე უნდა იდგეს. ღმერთმა ქნას, ეს ასეც იყოს, წინასწარ იმედის დაკარგვა არ ღირს. დღეს კი რუსეთი კვლავ არჩევანის წინაშე დგას, მის წინ ორი გზაა, და ის, თუ რომელ მათგანს აირჩევს იგი, პრეზიდენტს გაჰყვება თუ მისი მოვალეობის შემსრულებელს, დიდად განაპირობებს დანარჩენი მსოფლიოს, და განსაკუთრებით კი რუსეთზე ჩვენნაირად დამოკიდებული ქვეყნის ბედს.

თენგიზ გოგოტიშვილი

# მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს



## რევაზ (რეზიკო) ხუბაშვილი

ჩვენი ეზოს ბიჭი — ასე ეძახდნენ რეზიკო ხუბაშვილს. ჩვენს თვალწინ გაიზარდა, დავაჟკაცდა, ისევ პატარა გვეგონა, თურმე რამხელა გული ჰქონია...

მშობლიური ქართული მიწის სურნელით ნასაზრდოები — გულმა ვერ გაუძლო — დადგა იქ, სადაც ყველაზე მეტად გაუჭირდა ქართველს... იბრძოდა აფხაზეთში — შრომის მიმართულებით.

ვაი, რომ საბედისწერო აღმოჩნდა მტრის მიერ გასროლილი ტყვია...

მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლებმა ჩამოგვიყვანეს.

დიდხანს ებრძოდი სიკვდილს, მაგრამ ამაოდ... მძიმე იყო ჭრილობა... ვერ გაუძლო შენმა დაფლეთილმა გულმა, ვერც დედის მდუღარე ცრემლებმა დაგიფარეს.

— „დედა, ჩვენ გვკლავდნენ, მე არავინ მომიკლავს“ — ამ სიტყვებით დაასრულე შენი ლამაზი ცხოვრება...

გვჯერა, რეზიკო! შენ არავის გაიმეტებდი სასიკვდილოდ.

ბუნებამ უხვად დაგანათლა მოყვასის სიყვარული, სითბო, სიკეთე.

სიყვარულისთვის, სიკეთისთვის გაჩენილმა წამებით, მაგრამ ლამაზად დაასრულე 28 წელი...

ვაი, რომ შენს საყვარელ ეზოში ველარ გამოჩნდები, გულმდუღარე დედის ხმა ველარ მოგვწვდება — „ჩქარა შვილო, რეზიკო, ამოდი“...

...და ასე უსასრულო მოლოდინში შემოაღამდება...

ნუგეშად დარჩება შენი ხატება, გმირული შემართება, თავდადება სათაყვანებელი სამშობლოსადმი.

ვაგლახ, როგორ დააკლდები თანამებრძოლებს, ქუჩას, ეზოს, ყველას, ყველას...

მშვიდობით ჩვენო საყვარელო, შვილივით გაზრდილო ჩვენო სიამაყევ, პატარა გმირო...

ვაღმოხდილი სასუფეველში დაიმკვიდრებ სამუდამო ბინას.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის.

მეზობლები.

---


# თბილისის უნივერსიტეტი:

## აცხადებს 1993—1994 სასწავლო წლისათვის მიღებას დღისა და

1. ხელოვნების ექსპერტ-მენეჯერი
2. მენეჯერი მეცნიერებისა და ტექნიკური შემოქმედების სფეროში
3. ჯანმრთელობის სფეროს მენეჯერი
4. ინფორმაციული სისტემის მენეჯერი (ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა პროდუსერი)
5. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მენეჯერი
6. საერთაშორისო საფინანსო-საბანკო საქმის მენეჯერი
7. საბირჟო საქმე
8. მცირე ბიზნესის ორგანიზაცია
9. მარკეტინგის მართვა
10. უცხო ენები (ეკონომიკური განხრით)
11. სოციალური დაგეგმვა
12. პატენტმცოდნეობა და სტანდარტიზაცია
13. სამართალმცოდნეობა
14. საერთაშორისო სამართალი
15. ბიზნესის სამართალი

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზ. № 79. № — სართული ოთახი №20 ყოველდღე 10 სთ-დან 17 სთ-მდე. საკონტაქტო ტელეფონი 95-83-43 96-31-23 საბუთების მიღება ყოველდღე. 30 სექტემბრამდე.

უნივერსიტეტში სწავლა უფასოა.

წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას და გაგზავნილნი იქნებიან საზღვარგარეთ პრაქტიკებზე.

უნივერსიტეტში ლექციებს წაიკითხავენ დარგის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. მოწვეულნი იქნებიან უცხოელი სპეციალისტები.

უნივერსიტეტის სპონსორია კომერციული ბანკი „მარიამი“.

სარეკლამო სააგენტო NB


---


# პირველად საქართველოში!

## თბილისის ტურიზმის სერვისის სასწავლებელი

# აცხადებს

მოსწავლეთა მიღებას 1993—94 სასწავლო წლისათვის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების, სწავლის ვადაა 1—2 წელი და 9 კლასდამთავრებულებისთვის, სწავლის ვადაა 3 წელი, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის მიღებით, გაძლიერებული უცხო ენების სწავლებით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ტურიზმის კომიტეტის სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურეობისათვის შემდეგ პროფესიებზე:

1. მეტრდოტელი
2. სასტუმროებისა და ტურისტული კომპლექსების სართულის მორიგე
3. ბარმენი
4. მზარეული
5. სურსათ-ვაჭრობის მოლარე-კონტროლიორი
6. სასტუმროს ადმინისტრატორი

სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას სახელმწიფო დადგენილი წესით 2300-დან 3000 კუპონამდე.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ადგილზე.

ჩვენი მისამართია: დიღმის მასივი, გამწვანების ტერიტორია, სსგ „მიონის“ გაჩერება. ტროლეიბუსები №19 დინამო სტადიონიდან, №20 მეტრო დიდუბიდან, ავტობუსები №43, 210, 217.

ტელეფონები: 51—85—78, 51—85—21, 51—88—37.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს სპეციალობების მიხედვით.

შენიშვნა: საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს მივიღებთ 35 წლის ასაკამდე.

სასწავლებლის დირექცია



ვცვლი ვარკეთილი-3 პირველი მიკრორაიონიდან (მეტროსთან ახლოს) ოთხოთახიან ბინას 9 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე 3-ოთახიან და ერთ ოთახიან ბინებზე (3-ოთახიანი სასურველია მეტროსთან ახლოს)

ტელ: 93-18-41



იყიდება ფირმა „კენონ“-ის უახლესი მოდელის პროფესიონალური ფოტოკამერა.

დარეკეთ: 93-18-41



## კერძო უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

### საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს სსგ „ინფორმატიკა“-ს ქ.თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გთავაზობთ:

— შევისწავლით რა თქვენი სასწავლებლის სპეციფიკას, დავამუშავებთ თქვენი პროფილის შესაბამისად ინფორმატიკის საფუძვლების სწავლების კონცეფციას, სადაც განისაზღვრება სწავლების შინაარსი, მასალის მოცულობა და შემადგენლობა, საათობრივი განაწილება, პროგრამა და სხვა დეტალები.

— თქვენი სურვილის შემთხვევაში შევქმნით მოცემული ეტაპისათვის სწავლების მეთოდიკასა და დამხმარე სახელმძღვანელოს.

— იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაგაჩნიათ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეცადინეობები შეიძლება ჩატარდეს ჩვენი ცენტრის შენობაში. ცენტრი აღჭურვილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ყველა ტიპის სასწავლო-გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტით და სწავლებისათვის აუცილებელი ყველა სხვა ორგტექნიკით და ინვენტარით.

მისამართი: ჭავჭავაძის I ჩიხი №37, კომპლექს „მზიური“-ს ტერიტორია

ტელ: 29-48-60; 23-53-17


---


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კო[illegible]იძე
ჯემალ კასრაძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია





რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 120 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა“-ში

ტელ:
93—83—07, 29—49—60